საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 19 ივლისი. 2023 წ. №84 (9616) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეროვნულ ეროვნულია.

ყველგან საშაყირო თემა: „ნატოს კარი ღიაა!“

იხ. 3 გვ.

ნეოლიბერალური აღქმები და ფაქტები

თერთმეტწლიანი უწყვეტი პროცესი „ქართული ოცნებისთვის“ მართვაში ხელის შეშლისა!

ზაზა შათირიშვილი:

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აშკარა ყაჩაღობის სათავეში ამერიკული სპეცსამსახურები დგანან!

იხ. 3 გვ.

ვისთან ითხოვს „ღია კამათს“ კოდორის რუსებზე გამყიდველი სააკაშვილი?

„ტყვე მიშა გაწუწულ წიწილას ჰგავს“ თუ... დიდ ჩხრიალა გველს?!

იხ. 5 გვ.

ვატო შაქარიშვილი:

მორალურად დეგრადირებულმა ევრო-ამერიკელმა ჩინოვნიკებმა ყველანაირი წითელი ხაზი გადაკვეთეს

...ამერიკის ელჩმა ქართველ ხალხს მრგო უწოდა... ლიეტ-ველმა ევროპარლამენტარმა კი, ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება პოლიტიკურ მანდად მოიხსენია.

ინტელექტუალურად, მორალურად, ფუნქციურად დეგრადირე-ბული ევრო-ამერიკული მიურეოკრატიის, ევრო-დოლარებზე გა-ყიდულმა ჩინოვნიკებმა ყველანაირი წითელი ხაზი გადაკვეთეს! გლობალური ომის პარტიისგან მიიღეს დავალება რომ საქარ-თველოში შეცვალონ ხელისუფლება, რომელმაც მათი ინტერე-სების მსახურებაზე უარი თქვა. ვერ ასრულებენ ამ დავალებას, რა არ სცადეს – სტატუსის არ მოცემა, სანქციების გვერდის ავ-ლაში დადანაშაულება, ამერიკული კანონის რუსულად გამოცხადება, შანტაჟი, ვაჭრობა, ზეწოლა... ბოლოს, სააკაშვილის მიოლოგი-ური ნიმუშების ქურდობის მცდელობაც ჩაუვარდათ... პატრონი კი შედეგს ითხოვს! სასოწარკვეთაში არიან, რამაც გაიყვანა დიპლო-მატიის, პოლიტიკის, ეთიკის ჩარჩოებიდან და წყევლა-გინებაზე არიან გადასულები! უნდა იცოდნენ, რომ ამით, ყველაზე მეტად საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყნებს შეურაცხყოფენ!

ევროპარლამენტში კი, კორუფციული სკანდალები არ სრულდება და ერთმანეთის მიყოლებით იჭერენ ევროდეპუტატებს და აპ-არატის თანამშრომლებს. მხოლოდ ფული, ძალაუფლება და ინ-ტერესები დარჩა იმ ღირებულებებიდან, რაზეც იყო დაფუძნე-ული ეს გაერთიანება. სანამ ევროპარლამენტარები სააკაშვი-ლის წონაზე ფიქრობენ და საქართველოში რევოლუციურ სცე-ნარებს გეგმავენ, მთელი მსოფლიო უყურებს მათ პოლიტიკურ იმპოტენციას, რაც ვილნიუსის სამიტზე კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა“, – წერს ვატო შაქარიშვილი.

დავით ქართველიშვილი:

სალომე ზურაბიშვილმა ერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა!

იხ. 4 გვ.

ნოდარ ჭითანავა:

ანზორ ბურჯანაძის მეგობრები ვამაყობთ, რომ მისი თანამედროვენი ვართ!

იხ. 6 გვ.



ИРАКЛИ ҚАРИБАШВИЛИ УҚБЕКЕТІНІҢ ПРЕМИЕР-МИНИСТРІ АҚАРАДА ШМАСПИНДІ

САҚАРТВЕЛОНЫҢ ПРЕМИЕР-МИНИСТРІ ИРАКЛИ ҚАРИБАШВИЛИ УҚБЕКЕТІНІҢ РЕСПУБЛИКАСЫНЫҢ ПРЕМИЕР-МИНИСТРІН АҚДУЛА АРИПОВПЕН ГУШИН АҚАРАДА МАСПИНДІ ӨТКІЗДІ.

Премиер-министрдің Баспасөз қызметінің мәліметінше, Өзбекстан Республикасының Премиер-министрінің Пәтәвсаевтағы сарайы, сондай-ақ Сақартвело мен Өзбекстан премьер-министрлерінің екі мемлекет арасындағы ынтымақтастықтың перспективалары мәселелерін талқылауы болды.

Гушин Ақдула Арипов пен Ирекли Қарибашвилиге Сақартвело мен Өзбекстан арасындағы тарихи, мәдени, экономикалық, сауда-саттық, көлік, туризм, ауыл шаруашылығы, ақпараттық технологиялар, білім беру, ғылым, мәдениет, спорт, сондай-ақ адамдардың бір-бірімен байланысы салаларындағы ынтымақтастықтың ауқымы мен тереңдігі туралы ақпарат берді.

Премиер-министрлер Сақартвело мен Өзбекстан арасындағы ынтымақтастықтың ағымдағы жағдайы мен перспективалары, сондай-ақ Еуразия кеңістігіндегі геосаяси жағдайдың өзгеруіне байланысты мәселелер туралы пікірлерін ортаға салды.

Гушин Ирекли Қарибашвилиге Сақартвело мен Өзбекстан арасындағы ынтымақтастықтың ағымдағы жағдайы мен перспективалары, сондай-ақ Еуразия кеңістігіндегі геосаяси жағдайдың өзгеруіне байланысты мәселелер туралы пікірлерін ортаға салды

მეფე შიშველია!

ნეოლიბერალური აღქმები და ფაქტები

ყველგან საშაყირო თემა: „ნატოს კარი ღიაა!“

არახალია, რომ **ნეოლიბერალური პროპაგანდა ცდილობს, პოლიტიკური პროცესი აღქმების ასპარეზად აქციოს.** მოგწონს თუ არ მოგწონს, იძულებული ხარ, ფაქტებით „კბილებამდე შეიარაღებულმა“, ამ მარაზმში მიიღო მონაწილეობა, რათა ქვეყანა აგენტოკრატიისა და აღქმებით გაბრუებული სექტანტების საჯიჯგნ სხეულად არ იქცეს.

აღნიშნულ კონტექსტში **დღევანდელობის ყველაზე აქტუალური** და იმავდროულად **ჩვენთვის მეტად პროგლემური** ორი მოვლენა მინდა განვიხილო:

1. **ნეოლიბერალური აღქმა** – უკრაინა უკვე გამარჯვებულია; **ფაქტი** – ამ ეტაპისთვის უკრაინას, 2022 წლის 24 თებერვლამდე პერიოდთან შედარებით, **დაკარგული აქვს ორნახევარჯერ მეტი ტერიტორია;** საბრძოლო მოქმედებებს **შეეწირა 500 000-მდე უკრაინელი;** ადგილმონაცვლეთა კატეგორიას განეკუთვნება **20 მილიონზე მეტი მოქალაქე;** განადგურებულია სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, **რომლის აღდგენასაც ათწლეულები და ათეულობით მილიარდი დოლარი** დასჭირდება; პროექტმა – „უფრო მეტი უკრაინა ნატოში და უფრო მეტი ნატო უკრაინაში“ – **კატასტროფა განიცადა;** „ყველაზე ოპტიმისტებისთვისაც“ ნათელი გახდა, რომ **ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი,** იმთავითვე, **მოლა ნასრედინისა და ვირის იგავი იყო;** იმედი, სახელად **„კონტრშეტევა“ ბლეფი აღმოჩნდა** და ა.შ.

პარალელი უახლესი ისტორიიდან: **აღქმა** - 2008 წლის აგვისტოში **საქართველომ გაიმარჯვა; ფაქტი** – მოხდა ქვეყნის ტერიტორიის **20 პროცენტის ოკუპაცია;** საქართველოში დაბრუნდა **რუსული სამხედრო ბაზები;** დამატებით მივიღეთ **ათიათასობით დევნილი;** ომზე **ჩამოიწერა** რამდენიმე მილიარდი დოლარის ღირებულების **იარაღი და საბრძოლო მასალა;** სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი, „რატომღაც“, აღმოჩნდა რუსული ფირმების ხელში და ა.შ.

2. **ნეოლიბერალური აღქმა** – ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს **სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი** სახელმწიფოა; **ფაქტი** – ამერიკის შეერთებული შტატები დაუფარავად, დღეს უკვე **ყველა უკადრებელი ხერხით,** ცდილობს, **უპირობო გავლენა მოიპოვოს რუსული ოკუპაციისგან თავისუფალ 80 პროცენტზე;** მიმდინარეობს ქართველი ხალხის რვაგზის რჩეული „ქართული ოცნებისთვის“ **მართვაში ხელის შეშლის თერთმეტწლიანი უწყვეტი პროცესი;** მიმდინარეობს **ღია ბრძოლა საქართველოს კოლონიზაციისა** და შემდგომ ამისა, **ქართველი ერის საზარბაზნე ხორცად გამოყენების მიზნით;** პოლიტიკაში ყველაზე ჩაუხედავებისთვისაც ცხადი გახდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის ამოცანას ყველაფერზე ხელისმომწერი **„თავისი ნაძირალების“ ხელისუფლებაში მობრუნება წარმოადგენს;** „ნატოს კარი ღიაა“ – უმნის ბირჟებზე **საშაყირო თემად იქცა;** დღესავით ნათელია, რომ „ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი“ არის გლობალური ომის პარტიის პროექტი, რომელიც ეროვნულ მთავრობასთან ბრძოლის, **სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებისა და შედეგად, მეორე ფრონტის გახსნის ინსტრუმენტია მხოლოდ** და ა.შ.

ისტორია მეორდება. 1801-1991 წლების რუსული მემკვიდრეობის, **„უფროსი ძმის“ როლის** ხელში ჩაგდებისთვის ყველა რესურსი, ყველა მექანიზმი მოქმედებაშია მოყვანილი. მაგრამ... აქ არის ერთი „მაგრამ“ – **სამყარო დღეს სხვანაირია,** ხოლო **პოლიტიკური პროცესი – კომპლექსური და მრავალსუბიექტიანი** და რაც მთავარია – **მეფე შიშველია(!).**

ბიძინა დვალი,
17.07.2023 წ.

თერთმეტწლიანი უწყვეტი პროცესი „ქართული ოცნებისთვის“ მართვაში ხელის შეშლისა!

ზაზა შათირიშვილი:

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აშკარა ყაჩაღობის სათავეში

ამერიკული სპეცსამსახურები დგანან!

გუშინ გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის განცხადება „კრედიტ სუისის“ წინააღმდეგ მიმდინარე დავის შესახებ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ყველაფერი, რასაც ამდენი ხანი ვამტკიცებდი.



ყოველთვის ვამბობდი, რომ „კრედიტ სუისი“ არ იყო იმ თავხედური ყაჩაღობის ინიციატორი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ხორციელდება.

მთელი ეს პროცესი იმართებოდა და იმართება ამერიკული სპეცსამსახურების მიერ, რომელიც „კრედიტ სუისის“ მენეჯმენტს სრულად აკონტროლებს. ამის შესახებ ფილოსოფოსი, **ზაზა შათირიშვილის** წერს.

„ისიც ყველას გახსოვთ, თუ როგორ ცენზურას ექვემდებარებოდა ყველა სტატია, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ადვოკატები ამერიკულ და ევროპულ გამოცემებს აწვდიდნენ. ისინი დიდი ენთუზიაზმით ბეჭდავდნენ მასალებს, რომლებიც ბანკის რეპუტაციას აზიანებდა. თუმცა, როგორც კი სტატიები ბანკის მენეჯმენტს შეეხებოდა, ისინი ცენზურის ყრუ კედელს აწყდებოდა. აქედან ჩანს, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაშია დღეს მედიის თავისუფლება ამერიკასა და ევროპაში.

ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ერთ დროს შვეიცარიული საბანკო სექტორის ფლაგმანად აღიარებული „კრედიტ სუისი“ მისივე მენეჯმენტის ხელით ჩამოშალეს და ბანკს აქციების ფასი ზუსტად ასჯერ შეუმცირეს. ამაში მათ ბიძინა ივანიშვილის ანგარიშის ძარცვის საქმეც წარმატებით გამოიყენეს. თან ბანკს ანადგურებდნენ და თან ივანიშვილის წინააღმდეგ შანტაჟს ახორციელებდნენ.

უკვე დიდი ხანია, ბიძინა ივანიშვილს მისი კუთვნილი თანხები არა „კრედიტ სუისში“, არამედ სხვა შვეიცარიულ ბანკში - „იულიუს ბერში“ აქვს განთავსებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „კრედიტ სუისს“ ამ თანხების მიმართ ვერავითარი სუბიექტური ინტერესი ვერ ექნებოდა. თუმცა, ანგარიშს „კრედიტ სუისის“ შვილობილი კომპანია - ტრასტი ემსახურებოდა და თანხების გადმორიცხვას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სწორედ ის ბლოკავდა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ უკვე თვეზე მეტია, რაც საქმეს „კრედიტ სუისის“ ტრასტიც გამოეთიშა, მაგრამ პრობლემა არ მოიხსნა. ამჯერად თანხების გადმორიცხვას ბლოკავენ ამერიკული და ევროპული ფონდები, რომლებიც ე.წ. ჰეჯფონდის გავლით ბიძინა ივანიშვილის აქტივებზე ფაქტობრივ კონტროლს ახორციელებენ.

ამით საბოლოოდ დადასტურდა, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ყაჩაღობის ინიციატორი „კრედიტ სუისი“ არასოდეს ყოფილა. თუ ვინმეს ჯერ კიდევ ჰქონდა ილუზია, რომ „კრედიტ სუისი“ გადარიცხვებს მისი ფინანსური პრობლემების გამო აფერხებდა, ეს ვერსია საბოლოოდ დაიმსხვრა. როგორც უკვე ითქვა, ყველაფრის სათავეში დგანან ამერიკული სპეცსამსახურები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისგან პოლიტიკაში დაბრუნებასა და საქართველოს ომში ჩართვას ითხოვდნენ.

თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის განადგურებას ხელი არ მოაწერა და შურისძიება და შანტაჟი მის წინააღმდეგ დღემდე გრძელდება.

რთული სათქმელია, როდის დასრულდება ეს ყველაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ სამართალი იზეიმებს – საქართველოც შეძლებს მშვიდობის მოლომდე შენარჩუნებას და ბიძინა ივანიშვილიც დაიბრუნებს კუთვნილ თანხებს. ყაჩაღობისა და თავხედობის შეუზღუდავი რესურსი ამერიკულ სპეცსამსახურებსაც კი არა აქვთ და ეს რესურსი რაღაც მომენტში აუცილებლად ამოიწურება“...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ!

„ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲘᲓᲔᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ“, – პრეზიდენტის მიერ შეწყალებული **ნიკა გვარამია** ახალგაზრდებს ევროპარლამენტიდან აჯანყებისკენ მოუწოდებს. აი, ასე „შეუწყო ხელი“ დეპოლარიზაციას **სალომე ზურაბიშვილმა**. როგორც გვარამია აცხადებს, ახალი თაობა არის არა მხოლოდ Gen-Z თაობა, არამედ 25, 30 და მეტი წლის ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირში კი არ დაბადებულან, არამედ თავისუფალ საქართველოში და აქიდან გამომდინარე უნდა გამოვიდნენ და იბრძოლონ ქვეყნის დასავლური მომავლისთვის.

ქართველ ახალგაზრდებს მხარდაჭერას უცხადებს ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი,** რომლის განცხადებით, ახალგაზრდების ხელშია საქართველოს მომავალი, სწორედ ამიტომ მიიჩნევს, რომ მათ დახმარება სჭირდებათ. ევროპარლამენტარი არ აკონკრეტებს რა სახის მხარდაჭერას უმზადებს იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებმაც სპეციალური კურსები გაიარეს როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში და როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის აყირავება.

ევროპარლამენტარი **მირიამ ლექსმანი** ამბობს, რომ საქართველოში ძალიან ღრმა პოლარიზაციაა და ფიქრობს, რომ ვითარება უნდა შეიცვალოს.

„სიტუაცია საქართველოში უნდა შეიცვალოს, ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალისტებს თავს ესხმიან ფიზიკურად და ვიცით, რომ მთავრობა ქვეყნის პოლარიზაციას ახდენს, ეს ყველაფერი ჯანსაღი არაა, ჩვენ არაერთხელ ვთხოვეთ საქართველოს მთავრობას, რომ ქვეყანამ თავისი ვალდებულებები შეასრულოს, რადგან საქართველოს ხალხი თავის მომავალს ევროკავშირს უკავშირებს. იმედი გვაქვს მიხეილ სააკაშვილს სამკურნალოდ გამოუშვებენ, მის ჯანმრთელობას მოვევლება და ის დაძლევს იმ სენს, რომელიც პატიმრობაში დაემართა“, – განაცხადა **მირიამ ლექსმანმა.**

ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ნიკა გვარამიას შეწყალება რომ პოლარიზაციის მთავარი გამომწვევი ფაქტორია, ეს ცხადია. ზურაბიშვილის მიერ შეწყალებული გვარამია უკვე შეხვდა საქართველოს ხელისუფლების აყირავების სქემაში ჩართულ კიდევ ერთ ფიგურას, უკრაინის მმართველი პარტიის, ხალხის მსახურის თავმჯდომარეს, **დავით არახამიას,** რომლის მიწვევით გვარამია უკრაინაში იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ არახამიას ორგანიზებით მოხდა საქართველოდან ახალგაზრების გაყვანა კიევში, სადაც მათ ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა იმოქმედონ რევოლუციის პირობებში. მაშ ასე, ოპოზიცია ცხელი პოლიტიკური შემოდგომისთვის ემზადება, თუმცა, ასევე ემზადება ხელისუფლებაც, რომ ქვეყანას აარიდოს პოლიტიკური რყევები, რომელშიც ჩართული არიან ევროპარლამენტარები.

* * *

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, აშკარად იგრძნობა ცალკეული ოპოზიციური ჯგუფების მიკერძოებული, ტენდენციური პოლიტიკური მხარდაჭერის მცდელობა, რაც მისი თქმით, კატეგორიულად მიუღებელი უნდა იყოს.

დეპუტატი, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი **გურამ მაჭარაშვილი** მიმართავს ფონ კრამონს და ითხოვს ერთი მაგალითი დაასახელოს, სადაც შეიძლება, რომ ევროპარლამენტარებმა მოუწოდონ საზოგადოებას, რომელი ხელისუფლება აირჩიონ და რომელი არა.

– ფაქტი, რომ გვარამია ჩადის იმ ევროპარლამენტარებთან, რომლებიც საქართველოს ხან პირდაპირ მოუწოდებდნენ მეორე ფრონტის გახსნისკენ და ახლაც აფიქსირებენ, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ეს პოლარიზებას შეუწყობს ხელს თუ დეპოლარიზაციას? ეს არა მხოლოდ არაევროპულია, ეს არის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი.

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, როდესაც კოლეგებთან ერთად წერს საშემოდგომო ციებ-ცხელებაზე, ან უახლოეს პერიოდში კიევში კიდევ მორიგ არამეგობრულ ღონისძიებაზე საქართველოსთან დაკავშირებით, ამას მოსახლეობის პანიკაში შეყვანის მიზნით არ წერენ, არამედ უბრალოდ, მიმდინარეობს ფაქტების კონსტატაცია, თუ რას აპირებენ, როდის აპირებენ და რისთვის აპირებენ. მიზანი ნათელია – ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდნენ.

„ამ მიზნების განხორციელებას ჩვენ ვხედავთ ბოლო 9 წლის განმავლობაში, მაგრამ უკვე აღარ მინდა გავიმეორე რამდენი მრავალსახეობა გაიარა ამ გეგმების ხორცშესხმამ, მაგრამ ყოველ ჯერზე წარუმატებლად. მე არ ვიცი რა სამაგს ელოდებიან, რომელიც ამ ქვეყანაში გადატრიალებას არა მათი რიგებიდან წამოსული მუხტი, არამედ ჩვენ მოსახლეობის უმრავლესობიდან წამოსული მუხტი შეიძლება შეემატოს. ჩვენ ვიცით მშვიდობის ფასი, ჩვენ ვიცით პატიმრობის ფასი, ჩვენ ბოლო 10 წლის განმავლობაში საომარი მოქმედებების გარეშე ვცხოვრობთ და შევეგუეთ ამ მდგომარეობას.

ჩვენ ვხედავთ რას გავს უკარაინის ქალაქები, რომლებიც დედამიწის ზურგიდან არიან წაშლილები. ჩვენ, რაღაცის რაღაცასთან შედარების უნარი, მადლობა უფალს, გაგვაჩნია. ამიტომ ჩვენი წიაღიდან ეს უკმაყოფილების სარევოლუციო მუხტი ვერ წამოვა – რა უნდა წამოვიდეს ბარიკადების იქით მხარეს დარჩენილ ისეთ კარიკატული პერსონაჟების წიაღში, რომელსაც წარმოადგენენ ე.წ. ოპოზიციური ძალები. კი, ბატონო შეეცადონ, მაგრამ მოვემზადებით და როგორც ყოველ ჯერზე, აუცილებლად დავამარცხებთ“, – აცხადებს ქართველიშვილი.

ანალიტიკოსი ამ დესტუქციაში განსაკუთრებულად გამოყოფს საქართველოს პრეზიდენტის როლს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ირგებდა დეპოლარიზაციის მთავარი შემოქმედი პირის მანტიას, რომელიც ქართველიშვილის განცხადებით, საპეზიდენტო სასახლეში სხვადასხვა ჯგუფებს, არასამათავროებს თუ თავის მეგობრებს იმარებდა იმისთვის, რომ ზღაპარი მოეყოლა იმაზე, თუ როგორ ცდილობს მოქმედი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეს არსებული პოლარიზაცია შეარბილოს.

„მან, დეპოლარიზაციის გაღრმავების თვალსაზრისით, ჩაიდინა ერის წინაშე დანაშაული, როდესაც გარეთ გამოუშვა კრიმინალი გვარამია, რომელიც დღეს პირდაპირ მოუწოდებს ახალგაზრდებს რევოლუციისაკენ, ბუნტისაკენ და გადატრიალებისაკენ. აი, ამ პროცესების წამქეზებელი, ლიდერი და ერთ-ერთი თანაორგანიზატორი არის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და ის ამ ბრალდებას, რომელიც წამოსულია საზოგადოების მხრიდან, ვერაფრით ვერ გაამართლებს, ეს არის გამორიცხული“, – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ:

„ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲜᲙᲝᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲡ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲕᲡ!

„ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲜᲙᲝᲡ ᲐᲒᲜᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲥᲝᲤᲜᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲗᲠᲘᲗ“

წლების განმავლობაში ვხედავთ, რომ „ქართული ოცნებიდან“ გადიან დეპუტატები, მინისტრები, პრემიერ-მინისტრები, პრეზიდენტები, ანუ ყველა, ვინც გასასვლელია და, გასვლის შემდეგ, საკუთარ გუნდს ლანძღავენ!..

ასე დაემართა გიორგი გახარიას, დავით უსუფაშვილს, თინა ხიდაშელს, ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძეს, გიორგი მარგველაშვილს, მალე პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება სალომე ზურაბიშვილს და კიდევ ერთ რებუსს დაუტოვებს „ქართულ ოცნებას“, იქნება თუ არა საკუთარი ყოფილი თანამებრძოლების ხისტად გამაკრიტიკებელი, თუ იმ წინააღმდეგობით ამოწურავს საკუთარ თავს, რომლის მომსწრენიც დღეს ვართ.

ე.წ. აგენტების კანონის შემდეგ პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტი დატოვა **დავით სერგეენკომ.** ის რაფინირებულ, გაწონასწორებულ ადამიანად ითვლება, რომელსაც სიტყვა არ გაექცევა და პოლიტიკური სპეკულაციებისთვის ნაკლებად მოიცლის. თუმცა უცნობია, შეუერთდება თუ არა სერგეენკო „ოცნებით“ უკმაყოფილოთა ნაკადს. ზოგადად, საკუთარ ყოფილ თანაგუნდელებზე უარყოფით კონტექსტში საუბარი იმ ადამიანების პრობლემაა, ვინც „ქართულ ოცნებას“ ტოვებს, თუ თვითონ „ქართული ოცნების“, რომელმაც პირვანდელ გზას გადაუხვია?

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ **ლევან გოგიჩაიშვილის** პოზიციას იზიარებს, რომელიც ღირსეული პოლიტპატიმარი, მისი თანამებრძოლი იყო, მაგრამ ლევანმა „ქართულ ოცნებას“ არ აპატია ჯალათი მოსამართლეების მხარდაჭერა, რაც პოლიტპატიმრების და დაღუპული ადამიანების შეურაცხყოფად ჩათვალა.

„თავისთავად ცხადია, მეც ასე მოვიქცეოდი. სხვები რატომ მიდიან-მოდიან „ქართული ოცნებიდან“, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია. სერგეენკოს მიერ დეპუტატობის მანდატის იძულებით დატოვება ნიშნავს იმას, რომ, როგორც ჩანს, მას არ აპატიეს ე.წ. აგენტების კანონთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატავა. ცხადია, სერგეენკო პარლამენტის სხდომებსაც აცდენდა, მაგრამ რამდენი დეპუტატი არ დადის პარლამენტში?!“ – აცხადებს ვახტანგ მაისაია და ფიქრობს, რომ ყველა ადამიანს ერთმანეთისგან განსხვავებულად უნდა მივუდგეთ, ლევან გოგიჩაიშვილის შემთხვევა აბსოლუტურად განსხვავებულია, ზოგ შემთხვევაში კი, პირადი წყენა იყო მოტივი.

ანალიტიკოსი ეჭვობს, დავით სერგეენკომ პრობლემა შეუქმნას „ქართულ ოცნებას“, სერგეენკო ღირსეულ ადგილს მაინც იპოვის, ის კარგი მენეჯერი და სახელმწიფო მოხელე იყო. ამიტომ სერგეენკოს წასვლა უფრო „ქართული ოცნების“ დანაკარგია, ვიდრე სერგეენკოსი.

„იდარდოს „ქართულმა ოცნებამ“, ვის ნახავს სერგეენკოზე უკეთესს, როცა დოქსო-ფულოებით არის სავსე“, – მიიჩნევს ანალიტიკოსი.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** დავით სერგეენკოს პირადად არ იცნობს, მაგრამ იცნობს სერგეენკოს მეზობლად მცხოვრებ ადამიანებს, ვინც სერგეენკოს მანამდე იცნობდა, სანამ ის საჯარო სივრცეში გამოჩნდებოდა ბიძინა ივანიშვილის ნებით.

„ყველა მათგანი აღნიშნავს, როგორი უბრალო და ყურადღებიანიც იყო დავით სერგეენკო ურთიერთობაში, როგორც ექიმი, ისეთივე დარჩა მინისტრობისას. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მინისტრობას ვერაფერს შეამჩნევდით. სანდო წყაროებიდან ვიცი, რომ სერგეენკოს აბსოლუტურად არ უნდოდა არც მინისტრობა, არც პარლამენტში ყოფნა, ამას დათანხმდა ბიძინა ივანიშვილის დიდი პატივისცემითა და ხათრით“, – აცხადებს პეტრე მამრაძე.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ დატოვების შემდეგ ლანძღავენ საკუთარ თანაგუნდელებს, პეტრე მამრაძე თვლის, რომ ეს ორმხრივი პრობლემაა და გასაგებიცაა, რადგან საქართველოში ჯერაც არ არის პარტია, რომელიც მუნებრივად პარტიული იდეოლოგიითა და პროგრამითაა ჩამოყალიბებული და შეკრული, როგორებიც არიან „სოციალ-დემოკრატები“ ან „ქრისტიან-დემოკრატები“. ბოლო წლებში იქაც ხდება პარტიული საწყისების ეროზია, მაგრამ მაინც მყარად არიან და პარტიაში მუშაობის შემდეგ საკუთარ პარტიაში წინაურდებიან, რაც საქართველოში არ ხდება.

„საქართველოში არჩევენ ტექნოკრატებს, რაც ერთადერთი სწორი მიდგომაა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ობიექტურად, ისტორიულად, სოციალურად ჯერ სტრუქტურირებული არ არის არც საზოგადოება და არც პარტიები. მაგალითად, სერგეენკომ ხმა არ მისცა უცხო აგენტების კანონს, ასევე მოვიქცეოდი მეც. ვიყავი და ვრჩები საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერად და პირველმა ვთქვი, რომ ყველაზე დიდი ქველმოქმედება მისი მხრიდან იყო პოლიტიკაში შემოსვლა, მან საფრთხეში ჩააგდო საკუთარი თავი, მამაკაცისთვის ეს არაფერია, მაგრამ საფრთხეში ჩააგდო მთელი ოჯახიც. სააკაშვილის დროს პირველ წლებში თუ რამე სასიკეთო გაკეთდა, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ფულითა და მხარდაჭერით. თუმცა ამ სახით აგენტების კანონის შემოტანა იქნებოდა შეცდომა, რომელიც ძვირად დაუჯდებოდა „ოცნების“ პრესტიჟს და ეს გამართლდა კიდეც“, – აცხადებს პეტრე მამრაძე.

ანალიტიკოსის აზრით, ადამიანებთან დაკავშირებით მეტი სიფრთხილეა საჭირო, თვითონ ივანიშვილიც გაოგნებული იყო **მარგველაშვილის** ქცევით, რაც არ დამალა ტელევიზიით, ხალხო, არჩევნებამდე ეს კაცი ასეთი იყოო (ბიძინა ივანიშვილმა ხელისგული აჩვენა) და არჩევიდან ორ თვეში ასეთი გახდაო. ისიც თქვა, რა მოითხოვა და როგორ მოიქცა მარგველაშვილი. არც ქალბატონი ზურაბიშვილი არ აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელიც ბოლომდე საქართველოს ინტერესებს გაატარებდა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ვისთან ითხოვს „ღია კამათს“ კოდორის რუსებზე გამყიდველი სააკაშვილი?

„ტყვე მიშა განუწუნულ წიწილას ჰგავს“ თუ... დიდ ჩხრიალა გველს?!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ნაცების ავადმყოფი „ფიურერის“ სიტყვებს:

„მინდა ვუთხრა ჩემ მეგობარ უკრაინელებს, მე ვარ უკრაინის საპატიო მოქალაქე, რა თქმა უნდა, ქართველი და ვამაყობ იმ ქართველებით, რომლებიც იცავენ უკრაინას და ვამაყობ ჩემი პრეზიდენტით, ჩემი უშუალო ხელმძღვანელით, პრეზიდენტ ზელენსკით. დიდი მადლობა მას მხარდაჭერისთვის. რატომ გეშინიათ, ღია მიმართვა რომ იყოს, მომეცით საშუალება დებატებში მივიღო მონაწილეობა და ხალხმა გადაწყვიტოს, თქვენ ხართ მართლები, თუ - მე. თუ გინდათ, რკინის „ბრასლეტი“ დამადეთ, რომ არსად გაგექცეთ. რატომ ეშინიათ იმისა, რომ სააკაშვილს ღიად შეხვდნენ დებატებში, ხალხმა გადაწყვიტოს, თქვენ ხართ მართლები, თუ – მე ვარ მართალი, ჩვენი გზა იყო სწორი, თუ – თქვენი გზაა სწორი. ეს ჩიხია უბედურება, თუ ჩვენ გვჭირდება სხვა ახალი რაღაც, ეს ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს. ნუ ართმევთ ქართველ ხალხს საშუალებას, თვითონ გააკეთონ არჩევანი, ღია დებატებში შევიდე, ღია თამაშში შევიდე... ვითხოვ ერთადერთს – ღია კამათს! ქართველმა ხალხმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვიტოს, ვინ არის ჩვენ შორის მართალი. ვისაც ეშინია პოზიციის გამოხატვის, მე გეუბნებით, ნუ გეშინიათ ხალხნო, ვერაფერს დაგაკლებენ, თქვენ ხომ იცით, რომ ძალიან ბევრი მომხრე მყავს პირადად მე“...

მე არ შემიძლია ვისაუბრო იმ უბრალო ადამიანების გონებრივ სიჯანსაღეზე, რომლებიც ახლა სააკაშვილის ჯანმრთელობისთვის ღვრიან ცრემლს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წევრების ინტერესებზე თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი. ისინი იგივენაირი მოღალატეები დარჩნენ, როგორებიც იყვნენ თავიანთი „კარიერის“ დასაწყისში, ხოლო თავი და თავი ყველა ბოლოდროინდელი უბედურების – მიხეილ სააკაშვილი, ახლა რომ ავადმყოფობით გვაცოდებს თავს, ნიურნბერგის პროცესის იმ მონაწილეებს ჰგავს, რომლებმაც უსაშინელესი დანაშაულები კი ჩაიდინეს, მაგრამ სასამართლოზე მაინც ჯიუტად იმეორებდნენ, დამნაშავეები არ ვართო.

როგორც წესი, არც ერთი დაპატიმრებული კრიმინალი არ აღიარებს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა.

მაგრამ, ყველა ცოდვა რომ ჩამოვრეცხოთ მიხეილ სააკაშვილს, რომც გაათავისუფლონ და თავისუფლად რომ გაუშვან ვითომ სამკურნალოდ საზღვარგარეთ, მის სასტიკ დანაშაულად თუნდაც მხოლოდ კოდორის რუსებისადმი გადაცემა იქნება საკმარისი. იმ რუსებისადმი, რომელთა ტყვედ თვლის ახლა თავს და ხელისუფლებას ადანაშაულებს რუსეთთან თანამშრომლობაში.

ესეც აპრობირებული მეთოდია – სხვას უნდა დააბრალო ის, რაც თავად ხარ.

* * *

რამდენიმე ხნის წინ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ცნობილმა მკვლევარმა, შოთა ვადაჭკორიამ ასეთი რამ მითხრა:

– კოდორის პრობლემა აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ წარმოიშვა. რუსეთის წაქეზებითა და გაეროს წარმომადგენელთა მხარდაჭერით, აფხაზების ამოცანას წარმოადგენდა კოდორის ხეობის ხელში ჩაგდება, რადგან ეს ხეობა დამოკლეს მახვილივით ეკიდა სოხუმის „თავზე“.

1994 წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა სამხედრო შენაერთი „მონადირე“, ამ ბატალიონის სიმტკიცემ და მაღალმა ბრძოლისუნარიანობამ გადაურჩინა საქართველოს მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილები, კოდორისა და ჩხალთას ხეობები და 14 წლის განმავლობაში რეგიონში სტატუს-კვო შეინარჩუნა.

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, ზემო კოდორის დამცველთა დიდ ავტორიტეტს რა ზემოქმედების მოხდენა შეეძლო საზოგადოებაზე. ამიტომ „მონადირის“ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ამ მიზნით, ყველაზე მტკივნეულ საკითხზე – აფხაზეთიდან 1993 წელს ჭუბერის უღელტეხილზე დევნილი მოსახლეობის გაძარცვის ფაქტები გამოიყენეს და იქ დატრიალებული ტრაგედია და ძარცვა-გლეჯა „მონადირეს“ დააბრალეს.

ცალსახად ვაცხადებ, ამ ცილისწამების ავტორი მიხეილ სააკაშვილია. შემდეგ უკვე კოდორის დაცემის მერე „ნაციონალების“ სახელისუფლებო უწყებები კოდორის ხეობის სვანების წინააღმდეგ ცილისწამების შეთხზვით იყვნენ დაკავებულნი. ამ მიზნით კოდორის ხეობაში ჩატარებული დანაშაულებრივი სამხედრო ოპერაციის გამართლების აუცილებლობას ახდენდნენ. იდეოლოგიურ-პოლიტიკური საქმიანობის ტონის მიმცემი კვლავ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი იყვნენ.

2006 წელს „რუსთავი 2“-ის ეთერში სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ურთიერთდიალოგში, რომელიც უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, კოდორის ხეობაში მონებიც „აღმოაჩინეს“.

„მიხეილ სააკაშვილი: ...მონებიც აღმოაჩინეთ, ხომ?

ვანო მერაბიშვილი: დიახ, რამდენიმე მონა გავათავისუფლეთ. ე.წ. მონა-ადამიანი, რომლებიც საქართველოს სხვა ნაწილებიდან, სხვა ტერიტორიებიდან იყვნენ მოტაცებული. ერთი მათგანი მე ჩამოვიყვანე დღეს თბილისში. იგი 4 წლის განმავლობაში კახეთიდან, საგარეჯოს რაიონიდან იქნა, ასე ვთქვათ, მოტყუებით გატაცებული... ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, როგორც მონა... დღეს იგი თავისუფალია და, ალბათ, თავის ოჯახში გაათენებს პირველ ღამეს“.

სააკაშვილი და მერაბიშვილი საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს კოდორის ხეობა ტრეფიკინგისა და მონებად გაყიდული ადამიანების თავშეყრის ადგილი ყოფილიყო.

ეს ცილისწამება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს აფრასიძეებისთვის წაყენებულ ბრალდებას.

ბატალიონ „მონადირის“ მიმართ ცილისწამებების და შეურაცხყოფების პირველი ნაკადი გივი თარგამაძეს ეკუთვნის.

2006 წელს კოდორისა და ჩხალთის ხეობების, მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილების დამცველ, ბრძოლაში გმირულად დაღუპულ მეომრებს მან „მკვდარი ვირთხები“ უწოდა.

თარგამაძის გამონათქვამებს მაშინ არც გიორგი არველაძე ჩამორჩა. **„ბანდიტთა ფეხქვეშ მიწა დაიწვება. ჩვენ გავცემთ ბანდიტებს ისეთ პასუხს, როგორსაც ისინი იმსახურებენ“,** – ამბობდა იგი, რადგან თვით სააკაშვილი აცხადებდა: „ამ ყაჩაღებს მიწიდან ამოვთხრით... რომ მათ ვეღარ შეძლონ წინააღმდეგობის გაწევა და ახალი მსხვერპლის გამოწვევაო“.

* * *

სააკაშვილის მთავრობას ჰქონდა მსგავსი გამოცდილება. მესტიაში, სოფელ ეცერში აფრასიძეების წინაპართა ძვლების საფლავიდან ამოყრა და სოფლის ცენტრში ტომრებით დაყრა.

საქმე ისაა, რომ სცენარი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლების შესაბამისი უწყებები ახორციელებდნენ, მოსკოვში მომზადდა. როგორც ჩანს, პირველი ნაბიჯი „მონადირის“ გაუქმებას, ხეობაში ქართული საჯარისო შენაერთების შეყვანას და მოსახლეობის დასჯას ითვალისწინებდა, მით უფრო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას კოდორის ხეობა რუსებთან სავაჭრო საგნად ჰქონდათ უკვე გამიზნული. არსებობს ინფორმაცია, რომ კოდორის ხეობა 30 თუ 50 მილიონად გაიყიდა და ეს თანხა მილიონერ დერიპასკასგან იგორ გიორგაძემ მიიღო.

გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რუსეთთან გარიგება რომ არა, ოქრუაშვილი და მერაბიშვილი კოდორის ხეობას სოფელ ქვაბჩარამდე მარშით ვერ გაივლიდნენ.

აღსანიშნავია, იმ ხანებში ქალბატონი ნინო ბურჯანაძის, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციაც. იგი ოპოზიციას ამ საკითხის მიმართ ანტისახელმწიფოებრივ მიდგომაში ადანაშაულებდა, რადგან ოპოზიცია მაშინ კოდორის „კრიმინალებთან“ გარიგებას და მოლაპარაკებას ითხოვდა და ბურჯანაძე ზოგიერთ მათგანს რუსეთიდან დაფინანსებულს ეძახდა.

მაგრამ საკითხავი ისაა, რა როლს ასრულებდა ამ ძნელბედობის ჟამს რუსეთის ყოფილი კაგებეს და ამჟამად ეფ-ეს-ბე-ს გენერალი, სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია?

საიდან გაჩნდა რუსი ოლიგარქი ოლეგ დერიპასკა, რომელმაც 50 მლნ გაიღო ამ საქმისთვის?

თვით მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელქვეითები, თემურ ალასანიასა და იგორ გიორგაძის დახმარებით, რუსეთის ეფ-ეს-ბე-ს მიერ შემუშავებულ გეგმას კოდორის ხეობაში ახორციელებდნენ.

სააკაშვილსა და მის გარემოცვას იგორ გიორგაძესთან, რომელმაც ამ საქმიდან 17 მლნ მიიღო და ტარიელ ონიანთან ჰ ქონდათ კავშირი.

* * *

ქალბატონ ნინო ბურჯანაძის განცხადებას არც მაშინდელი განათლების მინისტრი კახა ლომაია ჩამორჩა. ის კოდორის დამცველებზე ამბობდა, რომ კოდორელები იყვნენ ღალატის კლასიკური მაგალითები, საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგეები, როგორც ეტყობა, სოროსის ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი ლომაია, დერიპასკას 50 მილიონის წილში უნდა ყოფილიყო.

ზემო კოდორში განხორციელებული ქმედებებით 1993 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის №1716 რეზოლუციით, ყველა ხელშეკრულება დაირღვა და ბრალი დაედო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში დაძაბულობის ხელოვნურად გაღრმავებაში.

კულუარული ინფორმაციით, გაეროს მაშინდელი გენერალური მდივნის კოფი ანანისა და პუტინის საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რადგან იქ რთული მდგომარეობა იყო, საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მიზნით, გაერო და დასავლეთ ევროპის შესაბამისი სტრუქტურები, მთელი ამ სირთულეების პერიოდში, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ მანდატის გაგრძელებით მანიპულირებდნენ, სინამდვილეში კი პრობლემის მოსაგვარებლად ნაბიჯს არ დგამდნენ. მოქმედებდნენ ისე, რომ არ გაენაწყენებინათ რუსეთი საქართველოს ინტერესების რამენაირად დაცვით“.

ამის ჩამდენ კაცს სჭირდება თურმე მოფერება, მოფრთხილება და დაცვა, ეს ითხოვს, თურმე მართალი კაცივით ღია კამათს, მერე რა, რომ ის ახლა საქართველოს მოქალაქე არაა, მერე რა, რომ თავიდან ბოლომდე ქართველებს თვალებში გვაფურთხებს...

სამწუხაროა, რომ საქართველოში თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, თუმცა, იციან, მაგრამ არ იციან – ან თვალს იბრმავებენ, ან დავიწყებული აქვთ დანაშაულები, რომლებიც სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ ჩაიდინა.

ამასწინათ ტელეეკრანებიდან ერთი ვიღაც პატივცემული ქალბატონი ტიროდა: ტყვე მიშა წიწილას ჰგავს, პატარა წიწილასო.

პარანოიდული აზრებით შეპყრობილების დოღია საქართველოში, თორემ მიშა წიწილა კი არა, დიდი ჩხრიალა (ყველაზე შხამიანი!) გველია, რომელიც ვოლიერშია დამწყვდეული, კანს იცვლის და ახალ ოხრობას უმზადებს ამ ქვეყანას, თუკი ამის საშუალება მიეცემა, რა თქმა უნდა...

ირანდა კალანდაძე



ნოდარ ჭითანავა:

ანზორ ბურჯანაძის მეგობრები ვამაყობთ, რომ მისი თანამედროვენი ვართ!

ქვეყნის ეპოქის ჭეშმარიტი მამულიშვილი

გატონო ანზორ! წერილის თეზისები ჩამოყალიბებული მქონდა, როცა თქვენი წიგნი მივიღე. როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. თქვენს ბიოგრაფიასთან ერთად მოზომილად და კარგად აწონილი დოზებით წარმოდგენილი ქვეყნის ისტორიის ორივე პერიოდის მრავალმხრივობით გამორჩეული მოვლენები, პროცესები. ბევრი მათგანი თქვენეული პრინციპულობით ახსნილია და შეფასებულიც. ვიზიარებ წიგნის პათოსს, ავტორისეულ ხედვებს, „უხილავი პროცესების“ თქვენეული ახსნის ლოგიკას. ღირსეულად წარმოადგინეთ ჩვენი თაობა, რომლის როლის იგნორირებას ამაოდ ცდილობენ შინაური და განსაკუთრებით გარეული „მოყვრები“ და „მეგობრები“.

წიგნის ცალკეული ნაწილის კითხვისას ცრემლიც მომადგა, სიამაყეც ვიგრძენი, ძნელბედობის ჟამს ქართველი კაცის მიერ დროებით გაფანტული სიბრძნის გამოც სინანულიც გამოვხატე, მასშტაბური სტრატეგიული ხედვების გამო აღფრთოვანებაც მომეძალა. ერთი სიტყვით, წიგნმა სამშობლოს ორი განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ავკარგიანობაც გვიჩვენა და ოპტიმიზმის მყარი საფუძველიც (ფონი) შეუქმნა მკითხველს.

თქვენი, როგორც ავტორის ხელწერაში კარგად იგრძნობა დროის ქერქში ჩახედვის უნარი, კრიტიკული სიტუაციების ზომიერად ანალიზისა და შეფასების მანერა, პროცესების ქრონოლოგიური ასპექტების სიღრმისეული ხედვა, რაც მთავარია და აღფრთოვანებას იწვევს ამბიციებისა და ემოციების ნაზავის ზომიერად (კაცურად) შეკვრის მცდელობა. ეს თვისება 90-წლიანი ბობოქარი ცხოვრების ქარტეხილებში გამოვლილი კაცის ღირსებას ძლიერ ამშვენებს.

ანზორ ბურჯანაძეს, რომელიც ამბობს „ჩემი ოჯახი ჩემი ციხე-სიმაგრე არის, ჩემი ტაძარიც და ჩემი სამყაროც“ - მუდმივად აქვს ადგილი ცივილიზებულ საზოგადოებაში.

წიგნზე ბევრია სათქმელი, შესაბამისი ფორმაც და გეოგრაფიული ლოკაციაც უნდა შეირჩეს.

ჩემი დაკვირვებით, სოფელ ორბელეშიც უნდა შედგეს წიგნის წარდგენა. ამით სათავე დაედება კარგ ტრადიციას: ნებისმიერი ქართველი დამსახურებისამებრ წარდგეს საკუთარი „ოდაგადეს“ წინაშე, ეს ორმხრივი პასუხისმგებლობაა. დღეს ჩვენს საზოგადოებას ეს ჰაერივით სჭირდება.

გატონი ანზორი ჩვენ წინაშე ფხიზლად, მისთვის ჩვეული სიამაყით თავაწეული, შუბლგახსნილი დგას ათეული წლების განმავლობაში მის მიერ მყარად ნაგებ კვარცხლბეკზე, როგორც მონუმენტური ფიგურა და დინჯად, ფოლადივით ჟღერადი ხმით მადლობას უხდის სტუმრებს. ამასთან ანგარიშს აბარებს ქვეყანას, შეკრების მონაწილეებს, ძირძველ ტრადიციებზე შექმნილ სახელოვან ოჯახს, საამაყო და საიმედო შთამომავლობას, მეგობრებს და გეოგრაფიული სივრცის იმ წერტილს, კოლხეთში „ოდაბადეს“ რომ ეძახიან, სოფელ ორბელს, სადაც დაიბადა, ფეხიც აიდგა და ენაც, შეიგრძნო მაგიური მშობლიური მიწა-წყლის ძალაც და სურნელებაც.

60 წელი მაკავშირებს გატონ ანზორთან, ეს საკმარისი დროა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება მქონდეს ადამიანზე, რომელთან ერთადაც ვმუშაობდით ერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, ერთობლივი ძალისხმევით ვემსახურებოდით ქვეყნის აღმშენებლობას.

ჩემი მეხსიერება ბევრ ინფორმაციას იტევს, მაგრამ უფრო რთული აღმოჩნდა თქმის (აზრების გადმოცემის) მისაღები ფორმის განსაზღვრაც. მოვერიდები იმ სიტყვების, სურვილების, შეფასებების განმეორებას, რომლებიც სხვადასხვა დროს მის შესახებ გამომითქვამს, გამომიხატავს. ამიტომ 90 წლის მეგობარზე მხოლოდ ზოგადი მიდგომებით ვამბობ ჩემს სათქმელს.

იგი ლიდერად დაიბადა. განვლილ გზაზე ყველგან და ყოველთვის ლიდერის პოზიციაზე იდგა. გატონი ანზორი ნიჭიერი ქართველი კაცის ტიპური განსახიერებაა. მოგეხსენებათ, ნიჭს „ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა, რადგან მარტო ნიჭი არის ძალა ბრმა, უსინათლო“ (ილია). გაუწვრთნელი ნიჭი დიდი რისკების ცვალებად საფრთხეებთანაც პირისპირ დააყენებს მის პატრონს და სწორედ აქ და ამ დროს ნიჭის „გაქცევისთვის“ ხელსაყრელი პაუზა დგება. გატონმა ანზორმა განგებისგან ბოძებულ ნიჭს დროულად და „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ მოქმედების საზღვრებიც მიუჩინა და სრულად ქვეყნის სამსახურში ჩააყენა. ესაა მისი პიროვნულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში შთამბეჭდავი წარმატებების განმსაზღვრელი პირობა. ეს საქვეყნო მაგალითია. საბედნიეროდ, ჩემ თვალსაწიერში გატონი ანზორის მსგავსად საკმაოდ არიან ასეთი მამულიშვილები, მადლობა მათ!

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთა გატონ ანზორის ფენომენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება – ღირსება.

როგორც მოსალოდნელი იყო, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში პოლიტიკურ-საზოგადოებრივ გარდაქმნათა დაწყების რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებში აქტიურად ჩაერთო და სამშობლოს პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვება-დამკვიდრებისთვის ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, სანიმუშოდ გააკეთა. ძნელბედობის ჟამს ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკვანძო სფეროებს უნარიანად ხელმძღვანელობდა და დროით განსაზღვრული მკაცრი გამოცდა ღირსეულად ჩააბარა. ჩემი აზრით, სწორედ მან დამაჯერებელი პასუხი გასცა კითხვას, თანამედროვე პირობებში ვინ იმსახურებს ჭეშმარიტი მამულიშვილის ყველაზე საპატიო სტატუსს. მხედველობაში მაქვს ის, რომ გატონი ანზორი სამშობლოს ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკურ ეპოქას თანაბრად ეკუთვნის. ორივეში ერთადერთი პოზიციით, ერთნაირი გულისძგერით, პასუხისმგებლობით და შეუპოვრობით ემსახურა (ემსახურება) დედასამშობლოს. ეს მაგალითია საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც წარსულში მხოლოდ მანკიერებას ხედავს, ნიჰილიზმის სულისკვეთებას ნერგავს და ამით ცდილობს ახალი დროის მოთხოვნებთან ადვილად შეძლოს ადაპტირება. ისინი ყოველთვის კლასიკური მედროვენი იყვნენ და ასეთად დარჩნენ.

დაგოლოს, ერთი განსაკუთრებული შტრიხი, რომელიც ამშვენებს 90 წლის მეგობარს. ქართული გაგებით კაცობის (როგორც ფენომენის) იერარქიულ სქემაში ანზორ ბურჯანაძემ ზოგად კაცად ფორმირების ყველა საფეხური დროსთან ჭიდილში წარმატებით განვლო და შექმნა ოჯახის კაცის, გვარის კაცის, თემის კაცის, ერის კაცის და ზოგადკაცის სანიმუშო მაგალითი. ვამაყობ იმით, რომ გატონი ანზორი ზოგადკაცის სანიმუშო სახედ ჩამოყალიბდა. ეს ეროვნული ფენომენის ლოგიკით ადამიანის წარმატებების მწვერვალად ითვლება. ამისთვის უკიდეგანო (კოლხეთში „უხურგეს“ ეძახიან), მადლობა, ჩემო ანზორ!

რას ვუსურვებ?

ამ შემთხვევაში თამამად დავესესხები ბრძენი კაცის სიტყვების ფორმას და შინაარსსაც და ასე ვიტყვი:

ჩემო ანზორ! თქვენს განუწყვეტელ ჯანმრთელობას, სიამოვნებით ცხოვრებას შევთხოვ მმართველ ზენაარსს, რომელმაც გაგაჩინათ და მოგცათ მამულიშვილის სისხლი ჩვენი სამშობლოს სასიკეთო საქმეების საკეთებლად.



გატონი ანზორ ბურჯანაძის მეგობრები ვამაყობთ, რომ მისი თანამედროვენი ვართ.

ნოდარ ჭითანავა,
საქართველოს ყოფილი
პრემიერ-მინისტრი

„მომავლის ხმები“ ანაკლიაში

ანაკლიაში სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ გაიხსნა, რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონიდან 18 სალოტბარო სკოლის 400 მოსწავლე მონაწილეობს. ფესტივალის პროგრამა მოიცავს, როგორც შემოქმედებით, ისე სპორტულ და გასართობ აქტივობებს.

ქორეოგრაფიული მიმართულებით ფესტივალთან აქტიურად თანამშრომლობს ცნობილი ქორეოგრაფი, მოცეკვავე და კასკადიორი, ტაურუსის ჯილდოს მფლობელი **ლაშა მძინარაშვილი.**

ფოლკლორული სიმღერის მასტერკლასებს ჩაატარებენ ანსამბლ „ბასიანის“ სოლისტები. ფესტივალის მონაწილეებს მსოფლიო ხალხთა მუსიკას გააცნობს „თუთარჩელას“ ხელმძღვანელი **თამარ ბუაძე.**

ფესტივალის პროგრამაშია – ლოტბარის საათი, რომელსაც ანსამბლ „ლალხორის“ ხელმძღვანელი **ლიკა ლიპარტელიანი** წარუძღვება.

მოსწავლეების სპორტული აქტივობების პროგრამა **სოფიო ტალახაძემ** შეადგინა. ფესტივალი 28 ივლისს საზეიმოდ დაიხურება.

აუცილებელი და მნიშვნელოვანია საგზაო სამართლის ცოდნა!

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამ ბოლოს ბევრი აუცილებელი და ფრიად საჭირო სახელმძღვანელო გამოიცა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ ამას წინათ სწორედ აღნიშნული ფაკულტეტის ძალისხმევით დაიბეჭდა ფართო ფორმატიანი წიგნი „სასამართლო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება“, რომელიც მკითხველმა ინტერესით მიიღო. ამჟამად პროფესორების **ირაკლი გაბისონიასა** და **ჯემალ გახოკიძის** დიდი შრომის შედეგად მომზადდა და გამოიცა ფართო ფორმატის 820-გვერდიანი **„საგზაო სამართალი“.** მშვენივრად გაფორმებული ამ ნათელი და აუცილებელი ფოლიანტის ავტორები ბრძანდებიან პროფესორები: **ირაკლი გაბისონია, ჯემალ გახოკიძე, ჯემალ გაბელია, დავით ნარმანია, თეიმურაზ დარსანია, იოსებ ხუციშვილი, ირაკლი მინაშვილი, თამარ ბარამია, მათე ჭანტურია.**



პირველ თავში განხილულია ტრანსპორტის ცნება, სახეები, განვითარების მოკლე ისტორია; საქართველოს გზების ისტორიული ექსკურსი და მათი სატრანზიტო ფუნქციის გეოეკონომიკური ასპექტები. მეორე თავში წარმოდგენილია ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეგულირება. მესამე ნაწილი ეთმობა ლოჯისტიკური სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ უზრუნველყოფას, მეოთხეში კი წარმოდგენილია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი მიმართულებები ამ სფეროში, ასევე განხილულია ევროპის სატრანსპორტო პოლიტიკა.

საფუძვლიანად გახლავთ შესწავლილი სატრანსპორტო სფეროში ჩადენილ ქმედებათა გამოძიებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების აქტუალური საკითხები; ჩამოყალიბებულია სატრანსპორტო დანაშაულის ცნება, ნიშნები, შესწავლილია ამ მხრივ უცხო ქვეყნების კანონმდებლობა, გამოტანილია სათანადო სამართლებრივი დასკვნები.

ყველაფერი ეს ემსახურება ერთს: საქართველოში დაინერგოს თანამედროვეობის შესატყვისი კარგად დარეგულირებული და დახვენილი სატრანსპორტო სამართალი, რაც გაზრდის ამ სფეროში წესრიგს და, მეორე მხრივ, იურიდიული მიმართულების სტუდენტებს, ასევე საკითხით დაინტერესებულ მეგზურებს მისცემს საშუალებას, უკეთ იმოქმედონ, უკეთ გაერკვნენ თავიანთ მიზნებსა და ამოცანებში.

ეჭვი არ გვეპარება, გაკეთდა აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმე, რაც ერთბაშად აამაღლებს ჩვენი საზოგადოების სატრანსპორტო-სამართლებრივ კულტურას.

მირიან როხვაძე

ხოსე კარერასი – ღვთაებრივი ხმის მომღერალი

თითქმის 40 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით მუსირებდა მოსაზრება, თუ რომელი მომღერალი იყო პირველი – ლუჩანო პავაროტი, თუ პლაჩიდო დომინგო. ერთგვარი დაჯგუფებებიც კი არსებობდა: „პავაროტისტებისა“ და „დომინგოსტების“ სახით. ამის შესახებ წიგნიც გამოვეცი სახელწოდებით: „პავაროტი თუ დომინგო“?! კითხვის ნიშნები ათეული წლებია გაისმის ცნობილ მომღერლებს შორის. ყველა მათგანს თავისი „ფანი“ ჰყავს, რომელიც პირველ ადგილზე მხოლოდ მის მიერ მოწონებულ მომღერალს აღიარებს. დიდი ხნის მანძილზე იტალიაში არსებობდა ორი უდიდესი მომღერლის მარია კალასის და რენატა ტებალდის ჯგუფები, „კალასისტებისა“ და „ტებალდისტების“ სახით. ასე რომ, ეს მიმდევრობა დღესაც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება.

საინტერესოა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ორ უდიდეს ტენორს – ლუჩანო პავაროტის და პლაჩიდო დომინგოს კიდევ ერთი გამორჩეული, მსოფლიო დონის მომღერალი ხოსე კარერასი დაემატა.

ხოსე კარერასი, რომლის სრული სახელია – ჟოზეპ მარია კარერასი-კოლი, 1946 წლის 5 დეკემბერს დაიბადა ბარსელონაში. მუსიკალური უნარჩვევები ადრეული ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა. ამ დროს იგი ლეგენდარული ენრიკო კარუზოს გავლენას განიცდიდა და მისი გასაოცარი სიმღერების ტყვეობაში იმყოფებოდა. „ის იყო ჩუმი, წყნარი და ჭკვიანი ბიჭუნა. მისი ხასიათი მომენტალურად მოგხვდებოდათ თვალში: ძალიან ყურადღებიანი და სერიოზული გამოხედვა, როგორსაც იშვიათად შეხვდებით ბავშვებში. მასზე მუსიკამ გასაოცარი ძალით იმოქმედა, გაჩუმდებოდა და მთლიანად გარდაისახებოდა ხოლმე. იგი უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი შავთვალება, ცელქი ბიჭუნა. მუსიკას უბრალოდ კი არ უსმენდა, არამედ მთლიანად ერწყმოდა მას“. – იგონებს მომღერლის და მარია ანტონია კარერას-კოლი.

მსმენელის წინაშე ხოსე პირველად რვა წლის ასაკში გამოვიდა, სახელმწიფო რადიოში ესპანურ ენაზე იმღერა ჰერცოგის არია „ლა დონა ე მობილე“ ვერდის „რიგოლეტოდან“. მას აღმოაჩნდა გამჭვირვალე ხმის დისკანტი, რაღაცით თითქოს რობერტინო ლორეტის მსგავსი. ოპერისადმი სიყვარული კინოფილმ ხოსეს „დიდი კარუზოს“ ნახვის შემდეგ გაუჩნდა, სადაც მთავარ როლს მარიო ლანცა ასრულებდა. თერთმეტი წლისა გამოვიდა მთხრობელი ფალის (დისკანტი) როლში „ბალაგანი პედროს სახელოსნოდან“. თუმცა კარერასის ოჯახი, რომელიც საკმაოდ შეძლებული და ინტელიგენტური იყო, ხოსეს არტისტულ მომავალს არ უწინასწარმეტყველებდა. ის კი არა, ერთ ხანს იგი მშობლების კოსმეტიკურ ფირმაშიც მუშაობდა, ველოსიპედზე შემოდგმული ჩანთით მზა პროდუქციას არიგებდა ბარსელონას მაღაზიებში. ამავე დროს უნივერსიტეტში სწავლობდა. თავისუფალ დროს ფეხბურთის სტადიონსა და მეგობრებში ატარებდა.

მალე კარერასის ჟღერადი დისკანტი ულამაზესი ტენორის ხმაში გადავიდა. საოპერო სცენისადმი მისი ოცნება შეიძლება აღსრულებულიყო. იგი მეცადინეობას იწყებს ლისეოს კონსერვატორიაში. ამ დროს ხოსე მეორე ხარისხოვან როლში გამოდის პუჩინის ოპერაში „ბოჰემა“ და ფლავიოს პარტიაში ბელინის „ნორმაში“, სადაც მთავარ როლში მონსერატ კაბალიე გამოდიოდა. მან ახალგაზრდა ტენორში განსაკუთრებული მონაცემები შეამჩნია, რამაც განსაზღვრა ხოსესთვის მთავარი როლის შეთავაზება დონიცეტის „ლუკრეცია ბორჯიაში“.

თვით ტენორი თავის ხმას ყველაზე ლამაზად არ თვლიდა. მან კარგად იცოდა, რომ ღმერთმა ნიჭი მისცა, რასაც სათუთად უნდა მოპყრობოდა და გაფრთხილებოდა. ტალანტი, ეს ბედნიერებაა, მაგრამ ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობა.

საოპერო ოლიმპზე კარერასის ასვლას ზოგიერთები ზღაპრული კონკიას ისტორიას ადარებენ, როგორც ყველა კონკიასთვის საჭირო იყო ფერია, და აი, ისიც გამოეცხადა, საქვეყნოდ ცნობილი მონსერატ კაბალიეს სახით. უცნობია, რამ განაპირობა მსოფლიო დონის სოპრანოს დაინტერესება ტენორით, მისმა არისტოკრატულმა გარეგნობამ თუ ულამაზესი შეფერილობის ხმამ. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მან ძვირფასი მარგალიტის – ხოსე კარერასის მეურვეობა იკისრა. ტენორი მხოლოდ რამდენჯერმე გამოვიდა ლონდონში ოპერა „მარია სტიუარტში“, რომელშიც თვით კაბალე მღეროდა მთავარ პარტიას... მოგვიანებით იგი თხუთმეტ დადგმაში იღებს მონაწილეობას.

გავიდა სულ რაღაც რამოდენიმე თვე და ახალგაზრდა მომღერლის მოსაპოვებლად, შეჯიბრი დაიწყეს მსოფლიოს საუკეთესო თეატრებმა. თუმცა ხოსე კარერასი კონტრაქტების გაფორმებას არ ჩქარობდა. იგი ხმას უფრთხილდებოდა და ამავე დროს ოსტატობას იმაღლებდა. ყველა საცდუნებელ წინადადებაზე უარს აცხადებდა. თუმცა უყოყმანოდ მიიღო მონსერატ კაბალიეს წინადადება „ლა სკალაში“ გამოსვლის შესახებ. მისმა დებიუტმა ტრიუმფით ჩაიარა. 1972 წელს კარერასი უკვე ამერიკის სცენაზე გამოდის, სადაც პინკერტონის პარტიას ასრულებს პუჩინის „მადამ ბატერფლაიში“.

კარერასი უკვე დაძაბულ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. იგი მსოფლიოს უმსხვილეს საოპერო თეატრში გამოდის. მის მრავალმხრივ რეპერტუარში ვერდის, პუჩინის, დონიცეტის, ჰენდელის და სხვა არაერთი კომპოზიტორის საოპერო ნაწარმოები შედიოდა. 1974 წელს ტრიუმფით გამოდის ვენაში ჰერცოგის მთავარ პარტიაში ვერდის „რიგოლეტოში“. 28 წლის ასაკში მისი რეპერტუარი 24 ოპერისგან შედგებოდა. ამ დროიდან კარერასი ვარსკვლავურ სვლებს ახორციელებს მსოფლიოს უდიდეს საოპერო თეატრებში.

მას უკვე შეუძლია მოამზადოს ნებისმიერი პარტია, განახორციელოს დადგმები, პარტნიორები თვითონ შეარჩიოს. მასზე დადებით შეფასებებს გამოთქვამენ მსოფლიო დონის მუსიკოსები და ხელოვანები: „მიუწვდომელი მომღერალია! ოსტიტია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, როგორებიც ძალიან ცოტაა. უდიდესი ტალანტია, ამასთანავე ყველაზე მოკრძალებული მოსწავლე რეპეტიციაზე. მე მასში ვხედავ არა მარტო კარგ ვოკალისტს მსოფილო სახელით, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ როგორც ღრუბელს, ნამდვილ ღრუბელს, რომელიც ბოლომდე იწოვს ყველაფერს, რასაც ვეუბნებოდი, მაქსიმალურად ცდილობდა დაუფლებოდა ყველაზე ფაქიზ ნიუანსებსაც კი“, – **ლეონარდ ბერსტაინი.**

„უნიკალური ხმა, შეიძლება ყველაზე ლამაზი და ემოციური ტენორი, რომელიც ცხოვრებაში მომისმენია. მისი მომავალია ლირიკო-დრამატული პარტიები, რომელშიც ის უდაოდ იბრწყინებს. მე მასთან უდიდესი სიამოვნებით ვმუშაობ. იგი მუსიკის ერთგული მსახურია“, – **ჰერბერტ ფონ კარაიანი.**

კარერასის რეპერტუარი სწრაფად იზრდებოდა. იგი მოიცავდა ლირიული ტენორის თითქმის ყველა პარტიას, უამრავ ნეაპოლიტანურ, ესპანურ, ამერიკულ სიმღერებს, ბალადებს. ამას ემატებოდა ოპერეტები, სარსუელები და საესტრადო სიმღერები. ასეთი დატვირთვის პირობებში, ახალგაზრდა მომღერლისთვის მოსალოდნელი იყო ხმის დაკარგვის საშიშროება. რამდენი ბრწყინვალე ხმა გაქრა, დაკარგა თავისი სიკაშკაშე, გუნებრივი სილამაზე და ელასტიურობა არასწორი რეპერტუარის შერჩევისა და თავისი სახმო აპარატისადმი უდიერი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო. ავიღოთ თუნდაც გენიალური ჯუზეპე დი სტეფანოს სამწუხარო მაგალითი, მომღერლის, რომელსაც კარერასი ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავის იდეალად და მისაბაძ ეტალონად თვლიდა. მაგრამ კარერასი, შესაძლოა ისევ ბრძენი მონსერატ კაბალიეს დახმარებით, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ყველა საშიშროება, რომელიც ვოკალისტებს შეიძლება შეხვედროდა, ფრთხილად და ჭკვიანურად მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, ტენორი ისეთ რთულ ნაწარმოებებს მღერის, როგორიც ჰენდელის ორატორია „სამსონ“ და ლეონარდ ბერსტაინის ოპერა „ვესტსაიდის ისტორიაა“. ეს ბოლო ნაწარმოები კარერასმა 1984 წელს შეასრულა, რომელსაც თვით ავტორი დირიჟორობდა.

ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ერთ დღეს კარერასი აღიარებული მომღერლიდან ექიმების პაციენტი გახდა. 1987 წელს, როდესაც დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, მას საშიში დიაგნოზი, მკვეთრი ლეიკემია დაუდგინეს. დიაგნოზი მცირე შანსს ტოვებდა გადასარჩენად. თითქმის ერთი წელი სრულიად ესპანეთი უყურებდა საყვარელი მომღერლის ნელნელა გაქრობას. ყველაფერთან ერთად მას სისხლის იშვიათი ჯგუფი აღმოაჩნდა და გადანერგვისთვის საჭირო პლაზმას მთელ ქვეყანაში აგროვებდნენ. მაგრამ არაფერი შველოდა. თუმცა იყო ერთი ადამიანი – მონსერატ კაბალიე, რომელმაც გადადო ყველა საქმე და ტენორის გვერდით დადგა და აი, მოხდა საოცრება, კარერასი გამოჯანმრთელდა.

ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოჯანმრთელებული, მომღერალი მოსკოვში ჩადის და კონცერტს მართავს სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, ხოლო სულ მალე, 1990 წელს, რომში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობიმს დროს ტარდება „დიდი სამეულის“ – ლუჩანო პავაროტის, პლაჩიდო დომინგოსა და ხოსე კარერასის ცნობილი კონცერტი, რასაც მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა. იგი შემდგომ რამოდენიმეჯერ გამეორდა და ერთგვარ ტრადიციად იქცა.

კარერასის ლტოლვას სცენისაკენ მხარი დაუჭირეს – ჯეიმს ლივაინმა, გეორგ შოლტიმ, ზუბინ მეტამ, კარლო ბერგონცემ, კირი ტე კანავამ, ხამე არაგალმა, ლეოპოლდ სიმონომ. მონსერატ კაბალიე უშედეგოდ თხოვდა ტენორს, ავადმყოფობის შემდეგ თავს მოფრთხილებოდა. „სწორედაც, რომ საკუთარ თავზე ვფიქრობ. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ? გაკეთებული კი ძალიან ცოტა მაქვს!“ – მიუგო ხოსე კარერასმა.

1992 წელს მომღერალი ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონატის გახსნაზე და დახურვაზე მღერის. მთავარ პარტიას ასრულებს სპეციალურად მისთვის დადგმულ საოპერო სპექტაკლში „სტიფელიო“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ოპერა იმდენად რთულია, რომ მარიო დელ მონაკომაც კი მისი შესრულება კარიერის ბოლოს გადაწყვიტა. ამას მოჰყვა ვოლფი ფერარის ოპერა „სლაი“. 1990 წლიდან 2000 წლამდე ხოსე კარერასი წელიწადში საშუალოდ 50 კონცერტს მართავდა. 2009 წელს ტენორმა განაცხადა, რომ ამთავრებს საოპერო კარიერას. მიუხედავად ამისა იგი შიგადაშიგ ჩნდება მაყურებლის წინაშე. 2014 წელს გამოდის სოჭში პარაოლიმპიური თამაშების დახურვის დროს, ასრულებს პარაოლიმპიელების ჰიმნს დიანა ღურწკაიასთან ერთად.

ტენორს საინტერესო პირადი ცხოვრება ჰქონდა. 1971 წელს მან ცოლად შეირთო სილამაზით გამორჩეული მერსედეს პერესი, ვისთანაც ჰყავს ორი შვილი: ვაჟი – ალბერტა და ქალიშვილი – ხულია. მერსედესმა, რომელმაც კარერასს აპატია – მონსერატ კაბალიესთან, იტალიელ სოპრანო – კატია რიჩარელთან და სხვა „გულშემატკივარ“ ქალბატონებთან ურთიერთობა, მიატოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც 1992 წელს, მომღერალი პოლონელ ფოტომოდელს დაუმეგობრდა. 2006 წელს ტენორმა ავსტრიელ სტიუარდესა იუტა ეგერზე იქორწინა, თუმცა ეს ქორწინებაც შეწყდა 2014 წელს. ამჟამად 77 წლის ხოსე კარერასი ბარსელონასთან ახლოს, მოკრძალებულ ვილაში ცხოვრობს და თავისი დიდი წარსულის მოგონებებით ტკბება.

მომღერალი მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია, ამავე დროს იუნესკოს კეთილი ნების ელჩია. დაჯილდოებულია უმაღლესი ოფიცრის, ბავარიის გვირგვინის და კავალერიის დიდი ჯვრის ორდენებით. მინიჭებული აქვს საპატიო ნიშანი – ავსტრიის რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის. შესულია ჟურნალ „გრამაფონის“ დიდების დარბაზში. მისი პიროვნების პატივსაცემად მომღერლის სახელი მინიჭებული აქვს კონსერვატორიას, რამდენიმე მუსიკალურ სკოლას და საკონცერტო დარბაზს.

გელა ძოძიაშვილი,
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი;
ქართული კულტურის ამაგდარი;
ვანო სარაჯიშვილის ფონდის
ვიცე-პრეზიდენტი.



ᲠᲐᲪ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ!

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲩᲐᲓᲘᲐᲜ!..

ᲘᲥᲘᲓᲐᲜ გამომდინარე, რომ პოლონეთში ამჟამად ლეგალურად 1,5 მლნ უკრაინის მოქალაქე ცხოვრობს, აბსოლუტურ ციფრებში ყველაზე მეტი დანაშაული უკრაინელებზე მოდის, მაგრამ პროცენტულად ყველაზე მეტ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ქართველები სჩადიან – პოლონეთში ამჟამად ოფიციალურად საქართველოს 22 ათასი მოქალაქე ცხოვრობს და 901 სხვადასხვა ტიპის დანაშაულშია ეჭვმიტანილი.

პოლიციის ინფორმაციით, მოლო **10 წლის განმავლობაში იმ უცხოელების რაოდენობა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა – თუ 2013 წელს დანაშაული 3,5 ათასმა უცხოელმა ჩაიდინა, გასულ წელს ეს რიცხვი 12,4 ათასზე ავიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია 20 ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შესვლის წესების გამარტივება.**

საერთო ჯამში 4695 უცხოელს შორის, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში არიან ეჭვმიტანილები უკრაინის 2288 მოქალაქეა, საქართველოს – 901, ბელარუსის – 277, მოლდოვის – 228 და რუსეთის – 80.

დანაშაულში მხილებულებს შორის არიან, ასევე, რუმინეთის, გერმანიის, ბულგარეთის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიეტუვის, უზბეკეთის, სლოვაკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის მოქალაქეები. დანაშაულებს შორის, რაშიც მიგრანტები არიან ეჭვმიტანილები, პირველ ადგილზე ქურდობა, მეორე ადგილზე ავტომობილის მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკების შენახვა და სასამართლო განჩინების არშესრულებაა. ასევე ხშირია საბუთების გაყალბების ფაქტები. ყველაზე ცნობილ ფაქტებს შორის ქართველების მონაწილეობით პოლიცია ვარშავაში ქურდობას ასახელებს. სამი ქართველი უთვალთვალებდა ადამიანებს, როდესაც მათ ბანკომატებიდან ფული გამოჰქონდათ. შემდეგ ამ პირების ავტომობილებს ბოროტმოქმედები საბურავებს უხვრეტდნენ და როდესაც მძღოლები ბორბლების გამოცვლას იწყებდნენ, ჩანთებს იპარავდნენ, რომლებშიც ნაღდი ფული იდო. ქალაქ ბელოსტოკში პოლიციამ საქართველოს 40 წლის მოქალაქე დაიკავა, რომელმაც 70 მაღაზია გაქურდა. ის თამბაქოს, კვების პროდუქტებს, სადენებს, საპარსებს და სათამაშოებს იპარავდა. პოდლიასიეში ქართველების ჯგუფი დაიკავეს, რომელმაც ერთ თვეში 6 სახლი გაქურდა. ლუბლინში კი ორი ქართველი აიყვანეს, რომლებიც ყვავილების გამყიდველებად ასაღებდნენ თავს და ადამიანებს სახლებში უვარდებოდნენ.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲣᲓᲘᲡ!..

პოლონეთის პარლამენტის დეპუტატი კრისტოფ ბოსაკი 11-იდან 13 წლამდე გოგონებს სექსუალურად შევიწროების ბრალდებით 4 ქართველის დაკავების საქმეს გამოეხმაურა.

„პოლონეთში მიგრაციის ტემპი იმდენად მაღალია, რომ არანაირი რეალური ინტეგრაცია არ არის. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ქალაქებში. ჩვენ გვაქვს კრიმინალის და ქურდობის არაერთი შემთხვევა. სამართალდამცველებისგან გვესმის, რომ ქართველების მიერ არაერთი დანაშაულია ჩადენილი. ქართველების მთელი ბანდები მოქმედებენ და ძარცვავენ მოსახლეობას“, – აცხადებს დეპუტატი.

ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲘᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ 4 ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ 3 ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ - ᲔᲠᲗᲘᲡ 12 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ბიტომში პედოფილიის ბრალდებით დაკავებული 4 ქართველიდან 3 გაათავისუფლეს. პოლონური მედიის ინფორმაციით, პედოფილიის ბრალდებით დაკავებულ 48 წლის კაცს ბრალი უკვე წაუყენეს.

როგორც პოლონური მედია წერს, პედოფილიაში ბრალდებული 48 წლის კაცი საქართველოდან არის და ქალაქ ბიტომში ლეგალურად ცხოვრობს.

„ამ საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებების გაანალიზების შემდეგ, პროკურორმა დაკავებულ 48 წლის საქართველოს მოქალაქეს 15 წლამდე ასაკის სამი არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ქმედებების ჩადენის მცდელობაში ბრალი წაუყენა“, – განაცხადა საოლქო პროკურატურის წარმომადგენელმა. საქმეს პოლონეთის პროკურატურა იძიებს. პოლონური მედიის ინფორმაციით, ხალხმა ბრალდებულებს წრე შემოარტყეს და მათი დასჯა მოითხოვეს. სამართალდამცველებს შეხლა-შემოხლის ფონზე კაცების დასაკავებლად ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუწიათ.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ �გᲣᲠᲐᲛ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ



ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲝᲚᲘᲡ მიერ ძებნილი ე.წ. კრიმინალური ორგანიზაციის ლიდერი გურამ ჩიხლაძე იგივე „ჩრდილი“ მასშტაბური სპეცოპერაციის დროს თურქეთში აიყვანეს.

სტამბოლის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩიხლაძე რუსეთსა და აზერბაიჯანში ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ჩიხლაძეს რუსეთი წითელი ცირკულარით ეძებდა, მოსკოვში ჩადენილი მკვლელობების და სხვადასხვა დანაშაულების გამო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲛᲐᲠᲢᲤᲝᲜᲔᲑᲡ ᲘᲞᲐᲠᲐᲕᲓᲐ!

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ სან-დონატოში 21 წლის ქართველი დააკავეს, რომელიც სმარტფონებს იპარავდა, – ამის შესახებ firenzetoday.it იუწყება.

ახალგაზრდა კაცი 1500 ევროს ღირებულების ბოლო თაობის სმარტფონს იპარავდა. პოლიციის ინფორმაციით, მან მკვნეტარის გამოყენებით ვიტრინაზე სიგნალიზაციის სადენი გადაჭრა. შემდეგ სმარტფონი ჩანთაში ჩადო და გასასვლელისკენ დაიძრა. გასასვლელში სიგნალიზაცია ჩაირთო და ქურდი მაღაზიის დაცვამ დაიკავა. ჩხრეკის დროს პოლიციამ ჩანთაში კიდე ორი თმის საჭრელი იპოვა. პოლიციამ ქართველი დაიკავა.

42 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

42 ᲬᲚᲘᲡ ქართველი კაცი, რომელიც საბერძნეთის, ეველპიდონის სასამართლოდან გაიქცა, ბერძენმა სამართალდამცველებმა დაიკავეს.

როგორც ბერძნული მედია იტყობინება, 42 წლის ქართველი კაცი სუპერმარკეტიდან პროდუქციის ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

„მან გაურკვეველ ვითარებაში მოახერხა თანმხლები პოლიციელების ყურადღების გაფანტვა და გაქცევა მოახერხა. სამძებრო სამუშაოების შემდეგ კაცი მალევე დააკავეს“!..

ᲡᲣᲜᲐᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ 28 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ!

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡ მედიის ცნობით, ქართველი 14 ივლისს, ერთ-ერთი მორიგი ქურდობისას დააკავეს, როცა პარფიუმერიის ქსელში ძვირადღირებული სუნამოები მოიპარა. მისი დაკავება მას შემდეგ მოხდა, რაც პარფიუმერიის ფილიალის დაცვამ პოლიცია გამოიძახა, როცა მაღაზიის კამერის ჩანაწერებში მაღაზიის ძარცვის ფაქტი შენიშნა. ეჭვმიტანილი ვენის პოლიციის თანამშრომლებმა ქურდობის ფაქტზე დააკავეს და პროკურატურის ბრძანებით ციხეში გადაიყვანეს.

ვენის სახელმწიფო კრიმინალური პოლიციის გამოძიებით დადასტურდა, რომ ეჭვმიტანილმა კიდევ 17 ქურდობა ჩაიდინა.

ᲩᲔᲩᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ

ᲩᲔᲩᲔᲗᲘ აშშ-ს კრიმინალურ ავტორიტეტს, საქართველოს მოქალაქეს, აზერბაიჯანში დაბადებულ პოლად ომაროვს გადასცემს. ჩეხეთის იუსტიციის მინისტრმა შესაბამის განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა, – ამის შესახებ ჩეხური გამოცემა Pravo იუწყება.

აშშ-ის პროკურატურა სამ ადამიანს, მათ შორის ომაროვს შეერთებულ შტატებში მცხოვრები ირანელი ჟურნალისტის და უფლებადამცველის, მასიხ ალინეჯადის მკვლელობის მომზადებაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, ჩეხეთის სამართალდამცველი ორგანოების ინფორმაციით, ომაროვი დანაშაულებრივ დაჯგუფებას ხელძღვანელობდა, რომელიც უკრაინასა და რუსეთში აზერბაიჯანულ დიასპორებს ატერორებდა. აშშ-ში ომაროვის ექსტრადირება რამდენიმე დღეში მოხდება. ომაროვს 32 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ადგილობრივები ამბობენ, ისინი ბოლო ერთი კვირა არ ჩანდნენ.

გარდაცვალების ვერსიად ბუნებრივი აირის გაჟონვა სახელდება. გარდაცვლილები ნათესავები არიან. 86 და 72 წლის ქალების ცხედრები ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა-გასაღების, ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ოთხი პირის მიმართ დაიწყო.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, წინასწარი შეცნობით, შეიძინეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების ხის მასალა, რის შემდეგაც, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების სახელით, გაწერეს ყალბი სასაქონლო ზედნადებები, რომელთა გამოყენებითაც, ჯამში, 1 006 მ3 უკანონოდ მოპოვებულ ხის მასალას მისცეს კანონიერი სახე და შემდგომ მოახდინეს მისი რეალიზაცია სხვადასხვა პირზე.

ᲛᲔᲒᲘᲡ ᲥᲐᲠᲓᲐᲕᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ



ᲪᲘᲮᲘᲡ ბუნტის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. სასამართლომ არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული მეგის ქარდავას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა. მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ მეგის ქარდავას ადვოკატების სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ადვოკატები საქალაქო სასამართლოს 2013 წლის განაჩენს ასაჩივრებდნენ, რომლითაც ქარდავას 3 წლითა და 9 თვით პატიმრობა მიესაჯა.

...და ქრის ქარები წუთისოფლის ამაოებად!..

დიდებულ ქართველ პოეტ ქალს მთვარისა კერესელიძეს რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი დარჩა.

შარშან 80 წლის იუბილისთვის გაამზადა, რომელთა მხოლოდ ნაწილი გამოქვეყნდა. მაშინ ჩვენმა გაზეთმაც შესთავაზა მკითხველს მისი ახალი ლექსები, რომელიც ზუსტად მისი იუბილის დღეს, 20 ივლისს გამოქვეყნდა და ძალიან გაახარა ჩვენი საყვარელი პოეტი.

უკვე ოთხი თვე გავიდა, რაც ამ შესანიშნავმა ქალბატონმა დაგვტოვა და ცათა საუფლოს შეუერთდა.

დღეს ჩვენი გაზეთი გთავაზობთ განუმეორებელი მთვარისა კერესელიძის გამოუქვეყნებელ ლექსებს, ბოლო წლებში დაწერილს. ვწუხვართ, რომ ის ვეღარ იხილავს მისი ლექსებით დამშვენებულ ჩვენს გაზეთს. თუმცა ამბობენ, იმქვეყნიური ცხოვრება არსებობსო. ვინ იცის, იქნებ მართლაც არსებობს. და ვინ იცის, იქნებ მანაც, მისმა სულმა რაღაც მანქანებით შეიგრძნოს, ნახოს ეს პუბლიკაცია. ნახოს და გაუხარდეს.

ჩვენო მთვარისა, დაუვიწყარო, გილოცავთ დაბადების დღეს!

2023 წლის 20 ივლისი შენი 81-ე დაბადების დღეა და პირველი დაბადების დღე, რაც ასე მოულოდნელად დაგვტოვე და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლე.

ნათელი შენს სულს, ღამაზ პოეზიას და შენს სახელს!

მთვარისა კერესელიძე

ახალი ლექსები

სევდიანი ლექსებით,
ნაღვლიანი ოდებით
გეკრძალვიან ქლესები,
მუხლს გიხრიან ლორდები...

დრო არ არის შესმენის
რემბოსი თუ ბოდლერის.
ისმის ზარი ელსმენის,
გულზე ცეცხლის მომდები!

პატიებით ბროლების,
პატიებით როლების,
დროა განმეორების,
დროა განმარტოების!

სევდიანი ლექსებით,
ნაღვლიანი ოდებით
როდის განვმეორდებით?..

9. 02. 2019 წ.

* * *

ცხოვრება ისე უმძიმესია,
არვის არ უნდა დღეს პოეზია!
ფიქრები ისევ შემომესია...
დიდება ქართლის დღეებს, დიდება
დილას აფრენილს, ცის გარინდებას,
გზებს, დაფენილებს ატმად, შინდებად...
მას, ვინაც გული მამულს მიანდო,
ვისი სიტყვა და საქმეც კიაფობს,
აგალობებდა ვინაც იადონს...
და გაუმარჯოს იმ ნათელ დილას,
ცას რომ აქუხებს საგანთიადოს!

5.09.2019 წ.

ლია

მეგობრებს დაჰკლებია ჭავჭავაძის
ამაყი ასული – ლია!
რომ გააცოცხლა დიადი წარსული
და თქვა, –
„ნეტავი ვინ ვართო ქართველები?“
აინტერესებდა სხვა თემებიც...
საქართველოთი ცოცხლობდა და
სულს უგერავდა ქართულ სიტყვას!
მეგობრებს ელოდა ფოცხოდანაც
და, როგორც ითქვა, –
საქართველოს სიცოცხლე სჯეროდა!
როგორ უმღეროდა
თუნდაც პაწაწინა
ყვავილს, – ომმალოს,
როგორ უმღეროდა!
ნეტავი სად არის?
ხომ არ გაჰყოლია გადამფრენ წეროთა,
ან როგორ დასტოვა თავისი მთა-ბარი?
მას ხომ საქართველოს სიცოცხლე სჯეროდა!
მღეროდა პატარა ბალახის ღეროდან
თუ ერას აღწერდა,
აღნუსხავდა ქართლის ცხოვრებას,
უყვარდა, საოცრად უყვარდა წარსული და
ამბობდა, – მოვედიო ამ ქვეყნად გვიან!
გახსოვთ ჭავჭავაძის ამაყი ასული
ლია?
ან როგორ გავიდა ოცნების რკალიდან,
ან საით წავიდა, ვერ გაგვიგია.
ბჭობენ მეგობრები, – რა ადრე წავიდა,
რა ადრე წავიდა ლია!

28.10.2019 წ.

როს სინამდვილე...

როს სინამდვილე მარწუხებს მიჭერს,
როცა ოცნებებს ათოვს და აწვიმს
და როცა მიჭირს, მე სწორედ მაშინ
გავრბივარ ლექსის თავშესაფარში...

და პოეზია, – ჩემი დიდი თავშესაფარი,
ზეცის თაღებზე მოქანავე ლურჯი
ზღაპარი,
სად თავს ვაფარებ დაუწერელ,
მიმინა ლექსებს,
შემისვამს მხრებზე ოცნებების
შრიალა ფრთებით...
და გავფრინდებით მირაჟების
გალაქტიკაში...

და ლაჟვარდებში, ცის თაღებს შორის
დავფრინავთ მე და ლექსის ქარები, –
არც არაფრისა შესადარები
და ვერ მეწევა სიმუხთლე სოფლის.
საფრენად მე კი ზეცა არ მყოფნის!

როცა ძალიან, ძალიან მიჭირს,
როცა ცხოვრება დამიწყებს ჭიჭყინს,
ზეცის მეშვიდე კარი მეხსნება,
რომ ძალა მომცეს ისევ ლექსებმა
რითმის ფთილებით...
როცა ცხოვრება მებრძვის ფრჩხილებით,
ისევ გავუძლო რომ ამ ცხოვრებას.

ალბათ თქვენც ბევრი გემახსოვრებათ
ცხოვრების მძიმე გაკვეთილები
ან მსტოვრებივით დარჩენილი
ლექსის ბწკარები,
ლექსის ქარები, სიმშვიდეს რომ
არ გაკარებენ.
გენაცვალებით!

დრო კვლავ მიდის წვალებ-წვალებით...
რა უცნაური დადგა დროება!
კვლავ არსაიდან არ ჩანს კარები,
ღია კარები...
და ქრის ქარები
წუთისოფლის ამაოებად!

2017 წელი.

* * *

აღარ დავდივარ ყვავილის თავშლით,
არც აყვავებულ ფშანთან ჩავივლი.
ხეს შერჩენია დამჭკნარი ვაშლი,
ფერდობს – გამხმარი მინდვრის
ყვავილი.
სად გაპარულა ლურჯი აპრილი,
დაუბერტყია ვარსკვლავთა კალთა,
შორიდან მოსჩანს უცხო ნაპირი,
უცხო შრიალი შორეულ ქართა.

და უკვდავების გაღებულ კართან
იღიმებიან ქრიზანთემები
და მარადიულ გრიგალთა გარდა
აქ საოცნებო ირწევიან ნატვრის ფერები.

23.10.2019 წ.

* * *

როგორ მამძიმებს შენი ლოდები,
გულზე რომ ადევს ციცქნა სამყურებს.
ჩემგან ნურაფერს ნუ ელოდებით,
ქორონიკონი ზეცას გაჰყურებს.

ისევ ხმიანებს სულთა ეგანი*,
ისმის ქებანი არამკითხესი.
ისევ ჩანს მძიმე დაბრკოლებანი
და წამებული გზები ქრისტესი.

უგერავს ქარი და არა სიო, –
სთქვი სამართალი, ქართველო, სთქვიო!
მამულს რომ მტრები შემოასიეს
და მტრებს უფენდნენ გზებზე არშიებს...

ვინ დაგვასია ამდენი მტერი?
თუმც უმტრო როდის იყო იბერი?
ხმლითა და მკლავით გაჰქონდა ლელო,
დღეს კი დუმილის დამდგარა ჯერი.

რამ დაგადუმა, მამულო ჩემო?
თავს ჩამოგვექცა ნაშენი ჭერი!
რა მძიმედ სუნთქავს დღეს საქართველო!

მაგრამ არც სისხლით, –
გონებით ვიხსნით
და მოთმინებით, სამშობლოს, ისევ
და არა მქისე
მტრების ნებაზე,
რომ თამაშობენ საქართველოს მოთმინებაზე,

სულს რომ გვიკლავენ,
ქართულ სულს რომ ასამარებენ
და სამანები არ უჩანთ რიდედ.
მე კი ეს მიკვირს, – ნეტავი ასე
როდის დავლაჩრდით, სად გავიყიდეთ?

* * *

როგორ მამძიმებს შენი ლოდები!

9.07.2019 წ.

* ებანი – ძნარის ტიპის უძველესი ქართული მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი.

ფიქრობს ოდიში

განფენილია ცისარტყელა –
ვრცელი ზღვაური,
ფიქრობს ოდიში –
არსაიდან საშველი არ ჩანს!
არავინ უხმობს დარჩენილებს ენგურის გაღმა
არც ნაზი სიტყვით, არცა ხმაურით!

აღარც ის ვიცით,
შეგვიფარებს ხვალ ვისი კალთა?
ან ხმალი მტერზე ვიღამ ალესოს?
როგორ გაგვყიდა ვიღაცა ჩარჩმა,
ვის რჩება ჩვენი ბაღ-ბოსტნები,
უმხურვალესო?

არავინ არ ჩანს მოგვეფეროს,
მოგვეალერსოს,
საკუთარ თავთან მარტო ვრჩებით
ალბათ, მარადის,
არც საიმედო არავინ არ ჩანს,
და ვიღაც უცხოს მიჰყავს „პარადი“!
და...
ჩვენი ლოცვა ღმერთებამდე, ალბათ,
არ ადის!

24. 10. 2019 წ.

* * *

შავი შაშვი ჭახჭახებდა
თუ გალობდა იადონი,
ამ გალობით, ამ ჭახჭახით
წუთისოფელს მიაქვს დრონი.

იგალობეთ, იჭახჭახეთ,
ისტვინეთ და იჭიკჭიკეთ,
მიაწვდინეთ თქვენი ხმები
უსასრულოდ კიდით-კიდეს...
და ამითი სოცოცხლე და
ცა და მიწა განადიდეთ!

23. 05. 2018 წ.

* * *

მინაწერი მურმან ჯგუბურიას ლექსზე „ასი წლის შემდეგ“

ავად მენიშნა შენი „სიზმარი“, მურმან!
წინდაწინ რამე ხომ არ განიშნა გულმა?
გაქრობას უთქვამ შენს საქართველოს, მიჭო?!
იქნებ ხმა მაინც რომ ამოვიღოთ, გვიჯობს?

შენ გეტყობა, რომ იცი გეგმები მათი,
ჩვენს გასაქრობად რომ ექავებათ თათი.
უნდათ, ქართველი გადააშენონ, ჰოდა
უნდათ, მომრავლდეს მათი ჯიში და მოდგმა.

და ღმერთმა ნუ ქნას, ო, ღმერთმა
ნუ ქნას ესე!
მიწა ეკუთვნის ყანის მხვნელსა და
მთესველს!
მურმან, შენ იცი, ჩემო ძმაო და „მისტერ“,
მათ ჩვენზე უწინ ჯვარზე გააკრეს ქრისტე!

ახლა დასდევენ და დევნიან
ქართველს ლოდებით,
მათგან არაფერს სასიკეთოს არ ველოდები.

* * *

ექმენ მფარველად საქართველოს,
დედაო ღვთისავ,
და მტერთა რისხვად დააქუხე
დედო ზარები!
გრიგალმა ფრთები თუკი შეისხა
და თუ წალეკა გზა საზარლების...
ექმენ მფარველად საქართველოს,
დედაო ღვთისავ!
საქრისტიანო დაიფარე შენი ძალებით...
და შენი გულით და თვალებით, –
ნამოკრძალებით
გადააფარე შენი კალთა
ჩემს საქართველოს!
ექმენ მფარველად საქართველოს,
დედაო ღვთისავ!

10.09. 2019 წ.

ხუთშაბათს, 20 ივლისს, მწერალთა სახლში მთვარისა კერესელიძის პოეზიის საღამო გაიმართება. დასაწყისი 18.00 საათზე. მაჩაბლის ქ. №13.

◎ ოვალური გურთი



ბილ სვინი:

ქართული რაგბი სწორ გზაზეა

ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ბილ სვინი** მიიჩნევს, რომ ქართული რაგბი განვითარების სწორ გზას ადგას, ჩელენჯ თასში „შავი ლომის“ ჩართვა კი მის ცნობადობას კიდევ უფრო გაზრდის:

„ქართული რაგბი ბოლო წლებში მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის. ისტორიული გამარჯვებები ტიერ1-ის ქვეყნებზე (იტალიასთან და უელსთან) ამის დასტურია. ძლიერ თამაშს აჩვენებენ თქვენი 20-წლამდელები, ხოლო EPCR-ის ტურნირში „შავი ლომის“ ჩართვა ქართული რაგბის ცნობადობას კიდევ უფრო გაზრდის. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ქართული რაგბი პირველად ხვდება ასეთი მაღალი დონის ტურნირზე, თავად ამ ტურნირისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც გეოგრაფიის, ასევე თამაშის სტილის გაფართოების კუთხით. იმედია, ჩელენჯ თასზე მოხვედრა ქართული რაგბის შემდგომი განვითარებისთვისაც ტრამპლინის როლს ითამაშებს, უშუალოდ საქართველოშიც გაზრდის რაგბის მიმართ ინტერესს და მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება ამ სპორტში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია საქართველოს რაგბის კავშირის ძალიან მოზომილი და სწორი პოლიტიკა. ქართული რაგბი ყოველთვის მკაფიოდ არის წარმოდგენილი მსოფლიო რაგბის, ასევე სხვა გაერთიანებების შეკრებებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – პირად საუბრებში ხომ უამრავი საკითხი განიხილება და წყდება. ქართული რაგბის მესვეურები ყველა დონეზე არიან ჩართულნი მსჯელობაში და თავიანთ ინტერესებს კარგად ლობირებენ, და იმასაც აცნობიერებენ, რომ ამ ინტერესების რეალიზებას დრო სჭირდება. მთელი სარაგბო სამყარო უდიდესი პატივისცემით ვუყურებთ იმას, რაც რაგბის პოპულარიზაციისთვის კეთდება დღეს საქართველოში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახლო მომავალშიც კარგი პერსპექტივა ჩანს, – 20-წლამდელთა თამაშმა მსოფლიო ჩემპიონატზე ეს მკაფიოდ დაგვანახა. მათ დაგვამარცხეს თბილისში ტესტ-მატჩში, რაც შთამბეჭდავი იყო. ასე რომ აშკარაა, ქართული რაგბი ყველა მიმართულებით სწორ გზას ადგას“.

◎ სეზონის წინ

„ნიუკასლის“ ახალი შეთავაზება – ინგლისელებმა კვარაცხელიას სატრანსფერო თანხა 107 მილიონამდე გაზარდეს

„ნიუკასლი“ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიდან“ გადაბირებით იმდენად არის დაინტერესებული, რომ სატრანსფერო შეთავაზება 107 მილიონ დოლარამდე გაზარდა, რაც ინგლისური კლუბისთვის რეკორდული თანხაა, – ინფორმაციას Corriere deelo Sport-ი ავრცელებს.

ავტორიტეტული იტალიური გამოცემის ცნობით, „ნიუკასლმა“ „ნაპოლის“ 100 მილიონი ევრო (107 მილიონი დოლარი) შესთავაზა თავდამსხმელ ხვიჩა კვარაცხელიას სანაცვლოდ.

ESPN-ის მტკიცებით, ეს ტრანსფერი რეალურია და, შესაძლოა, მალე დასრულდეს, განხორციელების შემთხვევაში კი სატრანსფერო ბაზრის მთავარი მოვლენად აფასებს.

„ხვიჩა კვარაცხელია ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ტალანტია და პრემიერლიგის „ნიუკასლის“ დიდ ინტერესს იწვევს. ევროპაში ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა უკვე გახსნილია და მეევრი ინფორმაცია ვრცელდება. მთავარი ამბავი კი ის არის, რომ „ნიუკასლში“ კვარაცხელიას ტრანსფერი რეალურია.

22 წლის კვარაცხელია გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი იყო. გავრცელებული ინფორმაციით, მისი შეძენით დაინტერესებულ ევროპულ კლუბებს შორის იყვნენ მადრიდის „რეალი“, „პარი სენ-ჟერმენი“ და „მანჩესტერ სიტი“.

„კაჭკაჭებმა“ („ნიუკასლის“ მეტსახელი) ნახევარმცველი სანდრო ტონალი „მილანიდან“ 64 მილიონ ევროდ შეიძინეს. პრემიერლიგის კლუბი ახლა იტალიის უმაღლესი ლიგის სხვა ფეხბურთელის შეძენასაც ცდილობს. „ნიუკასლი“ უკვე ამზადებს ახალ წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ „ნაპოლი“ მათ პირველ შეთავაზებას (90 მილიონი ევრო) უარყოფს.

კვარაცხელიას ნეაპოლელებთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით, 2027 წლამდე აკავშირებს. ის გასულ ზაფხულს მათუმის „დინამოდან“ „ნაპოლიში“ 12 მილიონ ევროდ გადავიდა. იტალიური მხარე ფეხბურთელის შენარჩუნებას და მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ცდილობს“, – წერს ESPN-ი.

შეგახსენებთ, რომ ახლო წარსულში „ნიუკასლში“ თემურ ქეცბაია და ზურაბ ხიზანიშვილი თამაშობდნენ.



მოკლედ

ჭიდაობა

გრაცი (ავსტრია). ევროპის თასის გათამაშება ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ნაკრები – გუნდური პირველი ადგილი და 9 მედალი პირად ტურნირში.

ოქრო – გიორგი ლოლაძე (73), ლუკა ბაბუციძე (81), მიხეილ ჯაფარიძე (100), შალვა გურეშიძე (+100). **ვერცხლი** – უჩა ტამატაძე (+100). **ბრინჯაო** – თომა გელაშვილი (60), ალეკო კასრაძე (66), ალექსანდრე ლოლაძე (81), თამაზ კობერიძე (90).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ბუდაპეშტი (უნგრეთი). ოლიმპიადის სარეიტინგო ტურნირი – პოიაკისა და იანოშის მემორიალი. საქართველოს ნაკრები – 6 მედალი. **ვერცხლი** – ჯონი ხეცურიანი (67). **ბრინჯაო** – რამაზ სილაგავა (55), ოთარ აბულაძე (72), იური ლომაძე (77), გელა ბოლქვაძე (82), გურამ ხეცურიანი (87).

წყალში ხტომა

რომი (იტალია). მე-12 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 12 ქვეყნის 80-მდე სპორტსმენის მონაწილეობით, მათ შორის – 5 ქართველი (მწვრთნელი **სალომე ჯუღელი**). ჩვენი ქვეყნის ნაკრები – 6 მედალი.

ოქრო – ალექსანდრე ცხომელიძე (1-მეტრიანი ტრამპლინი, 16-წლამდელები), გიორგი წულუკიძე, ცხომელიძე (3-მეტრიანი ტრამპლინი, სინქრონული ხტომები, 19-წლამდელები), ამავე დისციპლინაში გოგონათა შორის ყველას მარიამ შანიძემ და თეკლა შარიამ აჯობეს. **ვერცხლი** – წულუკიძე (1-მეტრიანი ტრამპლინი, 16-წლამდელები), ცხომელიძე (3-მეტრიანი ტრამპლინი, 16-წლამდელები). **ბრინჯაო** – წულუკიძე (ამავე დისციპლინაში).

◎ თაობა

მიზანი – ელიტა

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის B დივიზიონში საასპარეზოდ პორტუგალიაში მიემგზავრება. პორტუს მოსაზღვრე ქალაქ მატოსინოსში 21-დან 30 ივლისის ჩათვლით კონტინენტის 22 ქვეყნის ნაკრები შეიკრიბება და იმ 3 საგზურისთვის იბრძოლებს, რომლის მფლობელებიც გაისად ელიტარულ A დივიზიონში ითამაშებენ.

22 გუნდი 4 ჯგუფშია გადანაწილებული. A და C ჯგუფები 5-გუნდიანია, ხოლო B და D – 6-იანი. ირაკლი ძიძიგურის, ნიკა მეტრეველისა და ანდრო ანთელიძის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები B ჯგუფშია, სადაც მეტოქეებად **სლოვაკეთი (21 ივლისს ვეთამაშებით), უნგრეთი (22 ივლისი), ალბანეთი (23 ივლისი), მონტენეგრო (25 ივლისი) და ბოსნია (26 ივლისი)** ჰყავს.

გათამაშების ფორმატის თანახმად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ჯგუფის 2-2 საუკეთესო გუნდი განაგრძობს, რომლებიც მეოთხედფინალში დაწყვილდებიან (A – B ჯგუფთან, ხოლო C ჯგუფი D-სთან). შესაბამისად, თუკი საქართველო პლეი ოფში გავა, მეოთხედფინალში და ნახევარფინალში მეტოქეებად A ჯგუფის (ავსტრია, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია) წარმომადგენლები ეყოლება.

საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონისთვის კარგი მოსამზადებელი შეკრება გაიარა. თავდაპირველად 50-ზე მეტი კანდიდატი გამოიცადა, საიდანაც 16 შეირჩა და სწორედ ამ შემადგენლობით გაემგზავრა ნაკრები უცხოურ შეკრებაზე ლატვიაში, ფინეთსა და ესტონეთში, რომლის განმავლობაშიც ამ ქვეყნებისა და უკრაინის ნაკრებებთან მთლიანობაში 7 საკონტროლო მატჩი გამართა, რომლებშიც მარცხი განიცადა, თუმცა დიდი გამოცდილება შეიძინა.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში სლოვაკეთთან დაპირისპირებით ჩაებმება. შეხვედრა ზეგ თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება.

◎ კორტზე

ჭიჭანის დაბადება

კარლოს ალკარასმა ნოვაკ ჯოკოვიჩი შეაჩერა და უიმბლდონის ჩემპიონია! 20 წლის ესპანელმა ჩოგბურთელმა დრამატულ ფინალში ლეგენდარული სერბის დამარცხება მოახერხა.

არადა, ნოლემ დამაჯერებლად დაიწყო, რადგან პირველივე სეტში მეტოქეს 6:1 აჯობა. თუმცა, ესპანელმა ამის შემდეგ საერთოდ არაფერი დათმო, უმეტეს წილად კი მრისხანე მეტოქეზე უკეთაც გამოიყურებოდა. მეორე სეტში დიდი ბრძოლა იყო, რომლის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც კარლოსმა ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტში უკვე ესპანელი ერთი თავით მაღლა იდგა და 6:1 იმარჯვა, შესაბამისად, დაწინაურდა. თუმცა, სწორედ ამ სეტში იყო ეპიკური გეიმი, რომელიც 26 წუთი (!) გაგრძელდა. უჩვეულოდ ხანგრძლივი გეიმი კარლოსმა სათავისოდ დაასრულა. ჯოკოვიჩმა ზედიზედ ორი სეტის წაგების მერე შეძლო თამაშში დაბრუნება და მეოთხე სეტში პრობლემა არ ჰქონია – 6:3.

მეხუთე და გადამწყვეტი სეტი კი კარლოს ალკარასმა 6:4 მოიგო. ესპანელს საკუთარ ჩაწოდებაზე პრობლემა არ ჰქონია, ყველაფერი კი მესამე გეიმში მის მიერ შესრულებულმა ბრეიკმა გადაწყვიტა. ნოვაკმა ჩამორჩენის აღმოფხვრა ვეღარ მოახერხა და უიმბლდონზე ზედიზედ მეხუთე ფინალი ვეღარ მოიგო. აღსანიშნავია, რომ ჯოკოვიჩმა უიმბლდონზე შეხვედრა ბოლო 6 წლის განმავლობაში პირველად წააგო, უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე კი ბოლოს სულაც 10 წლის წინათ იყო დამარცხებული (ენდი მარეის წინააღმდეგ). შედეგად, როჯერ ფედერერის რეკორდი (8 ტიტული ამ შეჯიბრზე) ვერ გაიმეორა.

კარლოს ალკარასმა კარიერაში პირველად მოიგო უიმბლდონი, ხოლო მეორედ დიდი სლემის ტურნირი (მანამდე აშშ-ს ღია პირველობა). ესპანელი ჩოგბურთის ახალი, უკვე შემდგარი ვარსკვლავია, რომელმაც თავისი ძალა ბალახზეც გამოავლინა. ნოვაკმა პირველად წააგო უიმბლდონზე შეხვედრა, რომლის პირველი სეტი მოიგო...

უიმბლდონის ფინალური შეხვედრა კი მარათონული იყო, 4 საათისა და 46 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ მისი ტრიუმფატორი კარლოს ალკარასი გახდა, 36 წლის ნოვაკ ჯოკოვიჩის ჩამოწერა კი ჯერ დაუშვებელია.



გარდაიცვალა ქართული კულტურის რაინდი ომარ მხეიძე

88 წლის ასაკში საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ „სუხიშვილების“ ყოფილი მოცეკვავე ომარ მხეიძე გარდაიცვალა.

ომარ მხეიძე 1953 წლიდან იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის წამყვანი სოლისტი, 1954 წლიდან — საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე, სადაც 30 წლის განმავლობაში იდგა სცენაზე; იყო კინოკომპანია „ჯიმ შვანთეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი; 1984-1989 წლებში იყო თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლის დირექტორი, ე. თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული კათედრის კონსულტანტი.

ომარ მხეიძეს ანსამბლთან ერთად გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს 87 ქვეყანაში. მიღებული აქვს არაერთი წოდება, მათ შორის: „წლის ადამიანი“, „ქართული კულტურის ამაგდარი“, „ქართული კულტურის რაინდი“, საპატიო სიგელი „სახალხო სიყვარული“, „საუკუნის მოცეკვავე“ „ხელოვნების ქურუმი“.

კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივით, ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ომარ მხეიძეს 2016 წლის 8 ივნისს ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიანიჭა „ღვაწლმოსილი მოცეკვავის“ წოდება. ამასთან, 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ომარ მხეიძეს მიღებული აქვს ჯილდოები, პრემიები და პრიზები: 2015 წელს — საპატიო ბათუმელი; 2012 წელს — საქართველოს ეროვნული პრემია; 2000 წელს — თბილისის საპატიო მოქალაქე; 1996 წელს — ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის ღირსების ორდენი; 1971 წელს — საქართველოს სახალხო არტისტი; 1963 წელს — საქართველოს დამსახურებული არტისტი; ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

პრემიერის სამძიმარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლეგენდარული მოცეკვავის, ომარ მხეიძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ლეგენდარული მოცეკვავის, ომარ მხეიძის გარდაცვალების გამო. ბატონი ომარი ათწლეულების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართული ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზაციას; მისმა შემოქმედებამ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს გააცნო საქართველო, როგორც უძველესი და თვითმყოფადი კულტურის ქვეყანა, ხოლო საკუთარ სამშობლოში ხალხის დიდი სიყვარული და აღიარება მოუტანა.

გულწრფელ თანადგომას და სამძიმარს ვუცხადებ ბატონი ომარის ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მთელ ჩვენს საზოგადოებას“.

სახალხო არტისტის არდავიწყება

გარდაიცვალა ქართული ცეკვის ჯადოქარი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საპატიო მოქალაქე და უბრალოდ ყველასთვის საყვარელი პიროვნება

ომარ მხეიძე

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ომარის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

გურამ გოგიაშვილის დღე



დღეს 89 წელი შეუსრულდებოდა ქართველ მწერალსა და დამსახურებულ ჟურნალისტს, ცნობილ პუბლიცისტსა და თვალადური ქართულის უბადლო მცოდნეს, უცხოური კლასიკის შეუდარებელ გადმმოენებელს გურამ გოგიაშვილს. იგი სულ ახლახან განერიდა ამქვეყნიურ ცხოვრებას და ზეციურ საქართველოს შეუერთდა...

დღეს გთავაზობთ ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, გურამ გოგიაშვილის სიყრმის მეგობრის ემზარ კვიტაიშვილის ერთ ლექსს, რომელიც მეგობრის ხსოვნას ეძღვნება.

საძმო დაცარიელდა

დღეს შემახსენა თავი,
ღვინის დაცლილმა სურამ...
ვერ დაგირეკავ, ვერსად,
გოგიაშვილო გურამ!

ტილოს ხალათი გეცვა,
თეთრი გეხურა კეპი...
ვინაც დაგვცილდა, ყველას
მიაგე მისაგები.

ვერარამ დამავიწყოს,
შენთან ერთად რო მოვვლე —
თეძმის ნაპირი, გრილი,
შენი ხანდაკი, ხოვლე.

შეუქცევველად, უცებ,
ლაჟვარდი გექცა მინდად...
მომლოდინეა, მიხმობს
ტკივილი — ერთაწმინდა.

ცოტამ იცოდა, შენებრ,
სიტყვის გემო და წონა;
უფლის მადლია, ქართლის
მიწამ რომ ჩაგიკონა.

ემზარ კვიტაიშვილი
10.07.2023

სტიქია არ გვეშვება!

ყვარელში ძლიერმა სეტყვამ ვენახის 80-90 პროცენტი გაანადგურა

ყვარელში ძლიერმა სეტყვამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მნიშვნელოვნად დააზიანა. მევენახეების თქმით, ზოგან ვენახების 80-90% განადგურებულია. ძლიერმა ქარმა ყვარელში მრავალწლოვანი ხეებიც მოგლიჯა, რის გამოც მარჯანიშვილის ქუჩაზე ავტომობილებით მოძრაობა დროებით შეფერხებული იყო.

ქარმა ერთ საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა. დაზიანდა ელექტროგადამცემი ბოძებიც. ადგილზე მუშაობს „ენერგოპრო-ჯორჯიის“ რამდენიმე ბრიგადა. ყვარლის გარდა, სტიქიამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიც დააზარალა. ძლიერმა წვიმამ და ქარმა, საცხოვრებელ სახლებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დააზიანა. ასევე დაზიანებულია ელექტროსადენები და საყრდენი ბოძები, მოგლეჯილია ხეები, რამაც ჩახერგა საავტომობილო გზა.

ხევსურეთში ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 90-ე კმ-ზე (გუროს კლდეები), ავტოტრანსპორტის მოძრაობა ცალმხრივად აღდგენილია. გრძელდება სავალი ნაწილის გაწმენდითი სამუშაოები.

აღნიშნულ მონაკვეთზე ძლიერი წვიმის შედეგად, ჩამოიშალა კლდის მასა, რის გამოც, დროებით აკრძალული იყო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ი. ნაჭყებია ტბაში დამხრჩვალი იპოვეს

32 წლის ირაკლი ნაჭყებია, რომელსაც რამდენიმე დღე ეძებდნენ ფოთში, ტბაში დამხრჩვალი იპოვეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ტრაგედია ჩაქვის სასტუმროში

ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისის“ აუზში 5 წლამდე ასაკის ბავშვი დაიხრჩო.

ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს ბავშვი გარდაცვლილი დახვდა.

მესამე სართულიდან ბავშვი გადავარდა

ბორში, კომბინატის დასახლებაში, მესამე სართულიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვი გადავარდა.

„სასწრაფოს დაგვიანების გამო ბავშვი მამამ თავად წაიყვანა კლინიკაში. რამდენიმე წუთის განმავლობაში უგონოდ იყო, შემდეგ ტირილი დაიწყო“, — ამბობს თვითმხილველი.

ბავშვს შესაბამისი გამოკვლევები უტარდება.

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲓ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲑᲣᲑᲐ ᲙᲣᲓᲐᲕᲐᲛ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲢᲑᲝᲠᲘᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲠᲙᲛᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲪᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲚᲝ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ისტორიკოსმა **ᲑᲣᲑᲐ ᲙᲣᲓᲐᲕᲐᲛ,** თურქეთში, ისტორიულ ტაოში მდებარე კავსაძეების სახელით ცნობილ ციხის ეკლესიაში შეცურა და ბოლო კადრები გადაიღო.

„მწუხარება თუ ასე სასწაულად ლამაზი იქნებოდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. თავი სიზმარში მეგონა და გამოღვიძება არ მინდოდა. არ ვიცი, სიტყვებით როგორ უნდა გადმოვცე, რასაც ამ მწვანედ განათებულ ტაძარში ლივლივისას ვგრძნობდი. კარი აღარაა და მხოლოდ სარკმლებიანია ეკლესია და ტაძარშიც სარკმლიდან შეცურდები... ცურვა ეკლესიაში... ღმერთო ჩემო... დიდი ტკივილი და დიდი სიხარული ერთად. საოცრება, თუ რამ მინახავს წუთისოფელში, ეს იყო. იქნებ დროდადრო, ზამთრობით, წყალმცირობისას გამოჩნდეს ხოლმე...ტაძარმა იქნებ კვლავ გაძლოს. მხატვრობავ და წარწერებო – მშვიდობით. მშვიდობით. ტაო, კავკასიძეების ციხის ეკლესია“, – წერს ისტორიკოსი.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, თურქეთის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხზე, იუსუფელის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის შევსების გამო, წყალში იძირება ისტორიული მესხეთის ნაწილის – ტაოს ისტორიული ძეგლები. ჭოროხმა უკვე დაფარა ახალთას ეკლესია. რამდენიმე დღეში, ასევე მთლიანად წყალქვეშ აღმოჩნდება ჭალის ეკლესია და კავკასიძეების ციხე.

ისტორიკოსი **ᲑᲣᲑᲐ ᲙᲣᲓᲐᲕᲐ** ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც ტაო-კლარჯეთის ისტორიული წარსულის ერთ-ერთი წარმომადგენელი მკვლევარი, ქართულ ეკლესია-მონასტერთა ბედის ქომაგი და ერთგული მეციხოვნე. მას არაერთი წიგნი გამოუცია საქართველოს ამ უნიკალური და უძველესი კუთხის შესახებ, რომელიც ბედის უსამართლობის გამო თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩა. ბუბა კუდავას ათასობით ფოტო აქვს გადაღებული უნიკალური ძეგლებისთვის, იგი შესანიშნავი ალპინისტიც გახლდათ და მიუვალ კლდეებში მიკარგული ქართული ტაძრების პირველმხილველიცაა.



ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ 2050 ᲬᲔᲚᲡ?

ᲓᲐᲢᲑᲝᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲪᲧᲘᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲡᲘᲪᲮᲕᲓᲘᲚᲝ ᲮᲐᲜᲫᲠᲔᲑᲘ – ᲐᲡᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲜ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ თუ როგორი იქნებოდა მსოფლიო 2050 წელს. მათი თქმით, ეს ფოტოები შესაძლოა 2050 წელს რეალობად იქცეს, თუ მსოფლიო ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს არ გადადგამს.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ 2 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ...

ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ წინ დაკარგული ავსტრალიელი მეზღვაური და მისი ძაღლი წყნარ ოკეანეში იპოვეს. ისინი ამ ხნის განმავლობაში უმი თევზით იკვებებოდნენ და წვიმის წყალს სვამდნენ. ექიმების თქმით მამაკაცის მდგომარეობა სტაბილურია.

სიდნეის მკვიდრმა, 51 წლის ტომ შადოკმა ძაღლთან ერთად აპრილში მექსიკიდან საფრანგეთის პოლინეზიისკენ გაცურა, რა დროსაც ძლიერმა ქარიშხალმა მისი ნავი დააზიანა და ის წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა.

„მძიმე განსაცდელი გამოვიარე. უბრალოდ დასვენება და კარგი კვება მჭირდება, რადგან დიდი ხნის განმავლობაში მარტო ვიყავი ზღვაში. სხვა მხრივ, ძალიან ჯანმრთელად ვარ“, – ამბობს მეზღვაური ინტერვიუში.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲞᲚᲐᲟᲖᲔ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ დასავლეთ ნაწილში, ერთ-ერთ პლაჟზე ადგილობრივმა მოსახლეობამ უცნაური ლითონის ობიექტი აღმოაჩინა, რომელიც ცილინდრული ფორმისაა.

უცნაური ცილინდრის სიგანე 2,5, ხოლო სიგრძე 3 მეტრს აღწევს. ვინაიდან მისი წარმოშობა უცნობია, პოლიციამ სთხოვა მოსახლეობას, რომ უცნაურ ობიექტს არ მიუახლოვდნენ. ავიაციის ექსპერტმა ჯეფრი ტომასმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა, რაკეტის საწვავის ავზი იყო, რომელიც ინდოეთის ოკეანეში რამდენიმე თვის წინ ჩამოვარდა. ავსტრალიურ მედიაში, ასევე, გავრცელდა მოსაზრება, რომ ეს არის MH370 რეისისBoeing 777-ის ნაწილი, რომელიც ავსტრალიის სანაპიროსთან 2014 წელს გაუჩინარდა. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ამის ალბათობა მცირეა.



ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲔᲚᲘ მსახიობი სოფია ვერგარა და ჯო მანგანიელო 7-წლიანი ქორწინების შემდეგ ერთმანეთს შორდებიან.

წყვილმა 17 ივლისს მიმართვა გაავრცელა. **„განქორწინებასთან დაკავშირებით მივიღეთ რთული გადაწყვეტილება. როგორც ორმა ერთმანეთზე შეყვარებულმა ადამიანმა, რომლებიც ზრუნავენ ერთმანეთზე, გვინდა გთხოვოთ, პატივი სცეთ ჩვენს გადაწყვეტილებას, პირად ცხოვრებას, რადგან ახლა ჩვენს ცხოვრებაში ახალი ფაზა იწყება“,** – ნათქვამია განცხადებაში. სოფია და ჯო ერთმანეთს 2014 წელს შეხვდნენ. ექვსი თვის შემდეგ კი დაინიშნენ. წყვილმა გრანდიოზული ქორწილი 2015 წელს გადაიხადა.

* * *

ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ქორწინების შემდეგ არიანა გრანდე ქმარს დაშორდა. წყვილს შორის პრობლემები უკვე რამდენიმე თვეა არსებობს და ეს იქამდე დაიწყო სანამ მომღერალი დიდ ბრიტანეთში ფილმის გადაღებებზე გაემგზავრებოდა.

არიანა გრანდე უძრავი ქონების აგენტზე დალტონ გომესზე 2021 წლის მაისში დაქორწინდა. მომღერალი პაპარაცებმა უიმბლდონის ჩემპიონატზე ინგლისელ მსახიობთან ჯონათან ბეილისთან ერთად დააფიქსირეს. ყვითელ პრესა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გრანდე საქორწინო ბეჭედს აღარ ატარებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ი

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 36-00-35

ᲨᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.5702; ᲔᲕᲠᲝ - 2.8935;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3721;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 2.8489; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.0956;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5159;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6664

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+30
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+31
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+32
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+18,	ᲓᲦᲔ	+32

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge